186
1983

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 2

მარტი — აპრილი

1983 წ.

17.644

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 2 მარტი—აპრილი 1983 წ.

შინაარსი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

19. საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით საგეგმო დავალებათა შემცირების მხრივ კორექტირების დაუშვებლობის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

20. საქართველოს სს რესპუბლიკაში მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წესის თაობაზე ინსტრუქციის შეცვლისა და დამატების შესახებ.
21. საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო-სამშენებლო კოოპერაციის შესახებ.
22. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს საკითხები.
23. საქართველოს სსრ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების მართვის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ.
23. შიო მღვიმელის სახელობის ლიტერატურული პრემიის დაწესების შესახებ.
25. საქართველოს თეატრალური საზოგადოების წესდების დამტკიცების შესახებ.
26. გამოჩენილი ქართველი მწერლის ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის პრემიის დაწესების შესახებ.
27. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 24 დეკემბრის № 1116 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 2

28. საქართველოს სსრ მცირე მდინარეების წყალდაცვითი ზოლების (ზონების) დებულების დამტკიცების შესახებ.
29. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 17 დეკემბრის № 842 დადგენილებაში ნაწილობრივ ცვლილებათა შეტანის შესახებ.
30. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.
31. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის დებულებათა დამტკიცების შესახებ.
32.. საქართველოს სს რესპუბლიკაში ზოგიერთი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის ფორმირების დროს კანონმდებლობის დარღვევათა აღმოფხვრისა და საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლების ასაშენებლად გაცემული ბანკის კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

19 საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით საგეგმო დავალებათა შემცირების მხრივ კორექტირების დაუშვებლობის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. აეკრძალოთ საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დამტკიცებული გეგმის კორექტირება შემცირების მხრივ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნებართვის გარეშე, ხოლო საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ დამტკიცებული მაჩვენებლების მიხედვით — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ნებართვის გარეშე.

2. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებულ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებს საგეგმო დავალებათა კორექტირებასთან დაკავშირებული საკითხები შესაბამის საკავშირო სამინისტროებში შეუძლიათ შეიტანონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში წინასწარ განხილვის შემდეგ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 12 მარტი, № 133.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

20 საქართველოს სს რესპუბლიკაში მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წესის თაობაზე ინსტრუქციის შეცვლისა და დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ჩამოყალიბდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 9 მარტის № 133 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სს რესპუბლიკაში მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წესის თაობაზე ინსტრუქციის 72-ე პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„72. განქორწინების რეგისტრაციის შესახებ განცხადების მიღებისას მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანო ჰკითხავს განმცხადებელს, ხომ არ ყოფილა რეგისტრირებული განქორწინება მმაჩის ორგანოში მეორე მეუღლის განცხადების საფუძველზე. თუ ასეთი რეგისტრაცია არ ყოფილა ან მეუღლემ ამის შესახებ არ იცის, მმაჩის ორგანო სპეციალურ ჟურნალში განცხადების რეგისტრაციის შემდეგ არა უგვიანეს ერთი კვირის ვადაში უგზავნის ქორწინების რეგისტრაციის ადგილზე მმაჩის ორგანოს შეკითხვას იმის შესახებ, რომ საჭიროა შეამოწმოს, ხომ არ არის ქორწინების სააქტო ჩანაწერში აღნიშვნა, რომ განქორწინება უკვე რეგისტრირებულია. განცხადე-

ბის შემტან მეუღლეს განემარტება, რომ პასუხის მიღების შემდეგ განქორწინება რეგისტრირებული იქნება.

მმაჩის ორგანომ, რომელიც ასეთ შეკითხვას მიიღებს, არა უგვიანეს ერთი კვირის ვადაში უნდა აცნობოს, როდის და მმაჩის რომელმა ორგანომ გაატარა რეგისტრაციაში განქორწინება მეორე მეუღლის მიერ, ანდა იმის შესახებ, რომ ქორწინების საქტო ჩანაწერში აღნიშნული არ არის განქორწინება.

მმაჩის ორგანო, მიიღებს რა ცნობას, რომ არ არსებობს აღნიშვნა განქორწინების შესახებ, მიიწვევს განმცხადებელს განქორწინების სარეგისტრაციოდ და მისი თანდასწრებით ახდენს განქორწინების რეგისტრაციას".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 1 მარტი, № 101.

21 საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო-სამშენებლო კოოპერაციის შესახებ

„საბინაო-სამშენებლო კოოპერაციის შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 19 აგვისტოს № 765 დადგენილების შესაბამისად, რესპუბლიკაში საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების საქმიანობის სრულყოფისა და მოსახლეობის საბინაო პირობების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები იქმნება სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებთან, საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან, აგრეთვე კოლმეურნეობებთან და სხვა კოოპერაციულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებში შესვლის შესაძლებლობა მისცენ მოქალაქეებს, რომლებსაც სჭირდებათ საბინაო პირობების გაუმჯობესება, და უწინარეს ყოვლისა მოქალაქეებს, რომლებიც სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად სარგებლობენ საცხოვრებელი სადგომების რიგგარეშე და პირველ რიგში მიღების უფლებით.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისის, ქუთაისისა და ფოთის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, რესპუბლიკის საამინისტროებმა და უწყებებმა გაითვალისწინონ საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების პროექტებში კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის კაპიტალურ დაბანდებათა, სამშენებლო-სამონტაჟო, საიჯარო და საპროექტო-საძიებო სამუშაოთა ლიმიტების, აგრეთვე საჭირო მასალებისა და მოწყობილობის გამოყოფა სახელმწიფო საბინაო მშენებლობისათვის დაწესებული ნორმებისა და ფასების მიხედვით.

3. რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისის, ქუთაისისა და ფოთის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა შეიტანონ კაპიტალური მშენებლობის გეგმებში მხოლოდ ის კოოპერაციული საცხოვრებელი სახლები, რომელთა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დამტკიცებულია დადგენილი წესით და რომელთა მშენებლობისათვის გამოყოფილია მიწის ნაკვეთები.

4. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივთა სახლების მშენებლობას ახორციელებენ სახელმწიფო და საკოლმეურნეობათაშორისო საიჯარო და სხვა სამშენებლო ორგანიზაციები მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმების შესაბამისად და საცხოვრებელი სახლების ტიპობრივი პროექტების ფართოდ გამოყენებით, რომლებიც თავიანთი კეთილმოწყობით, დაგეგმარების გადაწყვეტითა და ბინების კომპლექტით აკმაყოფილებენ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა მოთხოვნილებებს.

კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების მშენებლობა ინდივიდუალური პროექტების მიხედვით ნებადართულია დადგენილი წესით. ამ სახლების მშენებლობა სოფლად შეიძლება განხორციელდეს ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის ნორმების მიხედვით შემუშავებული პროექტებით.

სასოფლო დასახლებულ პუნქტებში, ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებისათვის მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებთან ერთად შეიძლება აშენდეს საკარმიდამო ტიპის ერთბინიანი და ორბინიანი საცხოვრებელი სახლები, აგრეთვე მრავალბინიანი ბლოკირებული საცხოვრებელი სახლები საეზოვე ნაგებობებითურთ პირადი დამხმარე მეურნეობის გასაძღოლად (იმ დასახლებულ პუნქტებს გარდა, რომლებშიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ გამოიყოფა მიწის ნაკვეთები ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის).

5. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა გაითვალისწინონ თავიანთ საქვეუწყებო საპროექტო ორგანიზაციათა სამუშაო გეგმებში საბინაო-სამშენებლო კოოპერატივთა სახლების მშე-

ნებლობისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავება საბინაო-სამშენებლო კოოპერატივთა სახსრების ხარჯზე.

6. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფა, როგორც წესი, მასობრივი საბინაო მშენებლობის რაიონებში, რომელთაც აქვთ გზები და მაგისტრალური საინჟინრო კომუნიკაციები და იმ საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან ყველაზე ახლოს მდებარეობენ, რომლებთანაც შექმნილია საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები.

კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის ისეთი მიწის ნაკვეთების გამოყოფისას, რომლებზეც მდებარეობენ სახელმწიფო საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ასაღები შენობა-ნაგებობანი, ასაღები ობიექტების ღირებულება ჩამოიწერება ამ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ბალანსებიდან.

როცა აღნიშნული სახლების მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთები გამოიყოფა კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სარგებლობაში გადაცემული მიწებიდან, კოლმეურნეობებისა და ამ ორგანიზაციების კუთვნილი ასაღები ნაგებობებისა და ნარგავების ღირებულებას და მიწათმოსარგებლეთა სხვა ზარალს აანაზღაურებენ დადგენილი წესით სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, რომლებმაც მიიღეს გადაწყვეტილება სახლების მშენებლობის შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კოოპერაციული საცხოვრებელი სახლები შენდება უშუალოდ კოლმეურნეებისათვის, კოლმეურნეობებში მომუშავე სპეციალისტებისათვის და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მუშაკებისათვის.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები თავისუფლდებიან პირადი საკუთრების უფლებით მოქალაქეთა კუთვნილი ასაღები სახლების, ნაგებობებისა და მოწყობილობების ღირებულების, კოოპერატივებისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთებზე არსებული ხილ-კენკრეულის ნარგავებისა და ნათესების ღირებულების, ნაგებობათა დაშლასთან და ამის შედეგად წარმოქმნილი სამშენებლო ნაგვის გატანასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებისაგან, აგრეთვე ასაღები სახლებიდან გადასასახლებელ პირთათვის ბინების მიცემისაგან.

აღნიშნული სახლების, ნაგებობების, მოწყობილობების, ხილ-კენკრეულის ნარგავებისა და ნათესების ღირებულებას, ნაგებობათა დაშლასთან და სამშენებლო ნაგვის გატანასთან დაკავშირებულ სამუშაოთა ხარჯებს მოქალაქეებს აუნაზღაურებენ, აგრეთვე გადასასახლებელ პირებს ბინებს მისცემენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები დადგენილი წესით.

7. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფასთან დაკავშირებით საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის კუთვნილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლის აღების შემთხვევაში კოოპერატივს ასაღები სახლის ნაცვლად საკუთრებაში გადაეცემა ტოლფასი საცხოვრებელი სახლი.

8. კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება განისაზღვრება სახელმწიფო საბინაო მშენებლობისათვის დადგენილი ფასების, ნორმებისა და წესის მიხედვით.

საქართველოს სსრ სახმშენს შეუძლია საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების თხოვნით ნება დართოს აწარმოონ კოოპერაციულ სახლებში გაუმჯობესებული მოპირკეთება და დააყენონ უფრო სრულყოფილი მოწყობილობა.

გაუმჯობესებულ მოპირკეთებასთან და უფრო სრულყოფილი მოწყობილობის დაყენებასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა ანაზღაურდეს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების საკუთარი სახსრებიდან დამატებითი ხარჯთაღრიცხვების მისედვით, სახლების მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ხელახლა დაუმტკიცებლად.

9. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლებში მათი თანხმობით შეიძლება ჩაშენებულ და მიშენებულ სადგომებში მოთავსდეს ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები და დაწესებულებანი, აგრეთვე მოეწყოს საზოგადოებრივი დანიშნულების სადგომები.

აღნიშნული სადგომების მშენებლობა ხორციელდება ამ მიზნებისათვის დადგენილი წესით გათვალისწინებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე.

10. სსრ კავშირის მშენბანკისა და სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორებმა არ დაუშვან კვარტალგარეშე საინჟინრო ნაგებობებისა და კომუნიკაციების, აგრეთვე ამ დადგენილების მე-9 პუნქტში აღნიშნული სადგომების მშენებლობის დაფინანსება საბინაო-სამშენებლო კოოპერატივთა სახსრების ხარჯზე.

11. კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების დაპროექტებისა და მშენებლობის შემკვეთის ფუნქციები დაეკისროთ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებსა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებთანაც იქმნება საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები. ტექნიკური ზედამხედველობა ამ შემთხვევებში ხორციელდება დადგენილი წესით კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ღირებულების კრებსით სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშებაში გათვალისწინებული სახსრების ხარჯზე.

12. რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისის, ქუთაისისა და ფოთის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ მკაცრი დაცვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 4 სექტემბრის № 740 დადგენილებით დაწესებული ორწლიანი საგარანტიო ვადისა (კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების საექსპლუატაციოდ მიღების დღიდან), რომლის განმავლობაში საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების მოთხოვნით სამშენებლო და სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციები თავიანთ ხარჯზე აღმოფხვრიან მათი მიზეზით დაშვებულ ხარვეზებ-

სა და დეფექტებს, რომლებიც აღმოჩნდება მათ მიერ აშენებულ ან კაპიტალურად შერემონტებულ საცხოვრებელ სახლებში ექსპლუატაციის პროცესში (სამუშაოთა სახეობის მიუხედავად).

13. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 19 აგვისტოს № 765 დადგენილებით:

ა) დაწესდა, რომ:

— საბინაო-სამშენებლო კოოპერატივთა სახლების მშენებლობა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც კოოპერატივები ბანკში შეიტანენ საკუთარ სახსრებს სახლის მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების არანაკლებ 30 პროცენტის ოდენობით, ხოლო მეშახტეთა დაბებში — არანაკლებ 20 პროცენტის ოდენობით, და კოოპერატივს მიეცემა ბანკის კრედიტი;

— საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებს მიეცემათ საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის ბანკის კრედიტი სახლის მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 70 პროცენტამდე ოდენობით, ხოლო მეშახტეთა დაბებში — 80 პროცენტის ოდენობით 25 წლამდე ვადით, იმ ვარაუდით, რომ იგი ყოველწლიურად დაიფაროს თანაბარწილად;

— პირადი დამხმარე მეურნეობის გასაძღოლად საეზოვე ნაგებობებიანი კოოპერატიული საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებს მიეცემათ ბანკის კრედიტი საეზოვე ნაგებობათა ღირებულების გათვალისწინებით სახლის მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებიდან გამომდინარე;

— საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები, რომლებმაც ამ დადგენილების მიღებამდე გააფორმეს ბანკში კრედიტი, სარგებლობენ ამ კრედიტით კოოპერატივების მიერ ბანკისათვის წარდგენილ ვალდებულებებში გათვალისწინებული წესითა და პირობებით;

— საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებისათვის პროცენტული განაკვეთი, რაც გადახდებათ ბანკის კრედიტით სარგებლობისათვის, შეადგენს წლიურის 0,5 პროცენტს. ბანკის სესხების ვადაგადაცილებულ გადასახდელთა თანხაზე ვადის გადაცილების დროისათვის დაირიცხება წლიურის 3 პროცენტი;

ბ) საბინაო-სამშენებლო კოოპერატივთა სახლების მშენებლობისათვის გაცემული სსრ კავშირის მშენბანკისა და სსრ კავშირის სახბანკის სესხების პროცენტების გადახდისაგან გაათავისუფლა და ამ მიზნით წინათ მიცემული იმ სესხების პროცენტების გადახდევინება, რომელთა გადახდის ვადა არ დამდგარა 1979 წლის 25 აგვისტომდე, შეუწყვიტა შემდეგ პირებს:

— სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც გადიოდნენ სამსახურს სამოქალაქო და დიდი სამამულო ომების პერიოდში და სსრ კავშირის დასაცავად სხვა საბრძოლო ოპერაციების დროს მოქმედი არმიის შემადგენლობაში შემავალ სამხედრო ნაწილებში, შტაბებსა და დაწესებულებებში, სამოქალაქო და დიდი სამამულო ომების პარტიზანებს;

— სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ორგანოების სამხედრო მოსამსახურეებს, აგრეთვე უფროსთა და რიგითი შემადგენლობის პირებს, რომლებიც დიდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამამულო ომის პერიოდში გადიოდნენ სამსახურს იმ ქალაქებში, რომელთა დაცვაში მონაწილეობა ითვლება მოქმედი არმიის ნაწილების სამხედრო მოსამსახურეთათვის დაწესებული შეღავათიანი პირობებით პენსიის დანიშვნისათვის საჭირო წელთა ნამსახურობად.

გაათავისუფლა დიდი სამამულო ომის მონაწილეთა ცოლები (ქმრები), რომლებიც მათთან ერთად ცხოვრობენ, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივთა სახლების მშენებლობისათვის გაცემული იმ სესხების პროცენტების გადახდისაგან, რომელთა დაფარვის ვადა არ დამდგარა 1980 წლის 28 აგვისტომდე;

ბ) ნება დართო სსრ კავშირის მშენბანკსა და სსრ კავშირის სახბანკს განავადოს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების შუამდგომლობით კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის გაცემული სესხების გადასახდელთა დაფარვა 5 წლამდე ვადით სესხების იმ ნაწილში, რომელიც არ შეიძლება დაიფაროს ნამდვილ სამხედრო სამსახურში კოოპერატივის წევრთა გაწვევასთან დაკავშირებით, სესხის დაფარვის საბოლოო ვადის შეუცვლელად;

დ) უფლება მისცა საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს მოახმარონ პროფკავშირულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით ეკონომიკური სტიმულირების ფონდების სახსრები იმ მუშაკთათვის უსასყიდლო მატერიალური დახმარების გაწევას და კოოპერაციული საბინაო მშენებლობისათვის გაცემული ბანკის კრედიტის ნაწილობრივ დაფარვას, რომელთაც იმუშავეს ამ საწარმოებში, დაწესებულებებში და ორგანიზაციებში არანაკლებ 5 წელი, ხოლო ახალდაქორწინებულებმა — არანაკლებ 2 წელი, შემდეგი წესით:

— გაუწიონ უსასყიდლო მატერიალური დახმარება მატერიალური წახალისების ფონდის და სოციალურ-კულტურელი ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების ხარჯზე კოოპერაციული საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დაწყებამდე შესატანი საკუთარი სახსრების თავდაპირველი შენატანის 15 პროცენტამდე ოდენობით, ხოლო ახალდაქორწინებულებს — 20 პროცენტამდე ოდენობით;

— დაუფარონ მატერიალური წახალისების ფონდის და სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების ხარჯზე ბანკის კრედიტის დარჩენილი დავალიანება მუშაკებს, რომლებმაც იმუშავეს საწარმოში, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში 5 წელზე მეტი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივში შესვლის შემდეგ, დავალიანების 15 პროცენტამდე ოდენობით, ხოლო რომლებმაც იმუშავეს 10 წელზე მეტი — 30 პროცენტამდე ოდენობით;

ურჩია კოლმეურნეობებსა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს დაადგინონ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთათვის უსასყიდლო მატერიალური დახმარების გაწევისა და ბანკის კრედიტის ნაწილობრივ დაფარვის ზემოაღნიშნული წესი;

უფლება მისცა, როგორც გამონაკლისი, საბჭოთა მეურნეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოების, სოფლად განლაგებული

წყალთა მეურნეობისა და საკსახსოფლტექნიკის საწარმოების ხელმძღვანელებს დაფარონ პროფკავშირულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების ხარჯზე 50 პროცენტი ბანკის კრედიტისა, რომელიც მიეცათ მექანიზატორებსა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტით დასაქმებულ მუშებს — სოფლად შექმნილ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივთა წევრებს, იმ პირობით, თუ მათ მოცემულ საწაროში იმუშავეს არანაკლებ 5 წელი კოოპერატივში შესვლის მომენტიდან;

დააწესა, რომ:

— კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად და კრედიტის ნაწილობრივ დასაფარავად უსასყიდლო მატერიალური დახმარების წესით გაცემული სახსრები უნდა დაუბრუნონ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს 5 წლამდე ვადაში კოოპერატივთა წევრებმა იმ შემთხვევაში, თუ ისინი დათხოვნილ იქნებიან არასაპატიო მიზეზით საკუთარი სურვილით, შრომის დისციპლინის დარღვევისათვის ან დანაშაულის ჩადენისათვის;

— საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრს კოოპერატივის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, რომელსაც დაამტკიცებს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასკომი, კოოპერატივის სახლში მიეცემა ერთი ან რამდენიმე ოთახისაგან შემდგარი ცალკე ბინა, ოჯახის წევრთა რაოდენობის, მისი საპაიო შენატანის თანხის და საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდებით გათვალისწინებული საცხოვრებელი ფართობის ზღვრული ოდენობის შესაბამისად;

— საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სახლის ბინებში შესახლება ხდება სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასკომის მიერ გაცემული ორდერებით. ორდერის გაცემაზე უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლო წესით;

—საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სახლში განთავისუფლებული ბინის მიღებაზე უპირატესი უფლება ეძლევა მოცემული კოოპერატივის იმ წევრებს, რომლებიც საბინაო პირობების გაუმჯობესებას საჭიროებენ.

თუ საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან შექმნილ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებში არ არიან კოოპერატივის წევრები, რომლებიც საბინაო პირობების გაუმჯობესებას საჭიროებენ, მაშინ განთავისუფლებულ ბინებში უნდა შესახლდნენ პირველ რიგში ამ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშაკები, იმ პირობით, რომ ისინი შევიდნენ კოოპერატივში დადგენილი წესით;

ე) უფლება მისცა შექმნან საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები სსრ კავშირის ტერიტორიაზე ყველა დასახლებულ პუნქტში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქების, ქალაქების მოსკოვისა და ლენინგრადის, მოსკოვის ოლქისა და საერთო-საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის კურორტების გარდა:

— ბურიატიის ასსრ მინისტრთა საბჭოს, კომის ასსრ მინისტრთა საბჭოს, იაკუტიის ასსრ მინისტრთა საბჭოს, ზღვისპირეთის, კრასნოიარსკისა და ხაბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როვსკის სახალხო დეპუტატთა სამხარეო საბჭოების, ამურის, არხანგელსკის, ირკუტსკის, კამჩატკის, მაგადანის, მურმანსკის, ტომსკის, ტიუმენის, სახალინისა და ჩიტის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოების აღმასკომებს, სრულიად საკავშირო სამშენებლო-სამონტაჟო გაერთიანებებს „სოიუზსპეცტიაჟსტროის“, „სოიუზსპეცპრომსტროის“ და „სოიუზსპეცსტროის“ — იმ მუშაკთა და პენსიონერთაგან, რომელთაც იმუშავეს უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებსა და უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებთან გათანაბრებულ ადგილებში არანაკლებ 10 წელი;

— სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტროს, გაზის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს, ნავთობისა და გაზის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს, ნავთობის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს — იმ მუშაკთა და პენსიონერთაგან, რომელთაც იმუშავეს უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებში, აგრეთვე შუა აზიისა და ყაზახეთის სსრ შორეულ და უწყლო რაიონებში არანაკლებ 10 წელი;

— სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს, გზათა სამინისტროს, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს — იმ მუშაკთა და პენსიონერთაგან, რომელთაც იმუშავეს ბაიკალ-ამურის რკინიგზის მაგისტრალის და მისი ელექტრომომარაგების ობიექტების, ტაიშეტ-ლენის რკინიგზის ხაზის მეორე ლიანდაგისა და ბამ-ტინდა-ბერკაკიტის რკინიგზის ხაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე არანაკლებ 10 წელი;

— სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის სახელმწიფო კომიტეტს — იმ მუშაკთა და პენსიონერთაგან, რომელთაც იმუშაშავეს უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებში, უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებთან გათანაბრებულ ადგილებში და ძნელმისადგომ რაიონებში განლაგებულ ჰიდრომეტეოროლოგიურ სადგურებში (ამ კომიტეტის მიერ დამტკიცებული სადგურების სიის მიხედვით) არანაკლებ 10 წელი;

— სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს — იმ მუშაკთა და პენსიონერთაგან, რომელთაც იმუშავეს სამხრეთ იაკუტიის ქვანახშირის კომპლექსის საწარმოებისა და ობიექტების მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე არანაკლებ 10 წელი.

ამ პუნქტში აღნიშნულ მუშაკებს, რომლებიც დაინვალიდდნენ ან პროფესიულად დაავადდნენ ამ პუნქტით გათვალისწინებულ რაიონებსა და ადგილებში მუშაობის პერიოდში, შეუძლიათ შევიდნენ ამ კოოპერატივებში მუშაობის 10 წლის ვადის გასვლამდეც.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ ამ პუნქტში აღნიშნული ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომების, სამინისტროების, უწყებებისა და სრულიად საკავშირო გაერთიანებების შუამდგომლობით განსაზღვრონ დასახლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული პუნქტები, რომლებშიც განხორციელდება საბინაო-სამშენებლო კოოპერატივთა მიერ სახლების მშენებლობა;

ვ) უფლება მისცა მუშაკებს, რომლებმაც იმუშავეს არანაკლებ 10 წელი, ხოლო მუშაკებს, რომლებიც დაინვალიდდნენ ან პროფესიულად დაავადდნენ, აღნიშნული ვადის გასვლამდეც შევიდნენ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა რეკომენდაციების მიხედვით საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებში სსრ კავშირის ტერიტორიაზე ყველა დასახლებულ პუნქტში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქების, ქალაქების მოსკოვისა და ლენინგრადის, მოსკოვის ოლქისა და საერთო-საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის კურორტების გარდა, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ჩაწერილი, ხოლო სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს — აიყვანონ აღრიცხვაზე საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებში შესასვლელად:

— უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებსა და უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებთან გათანაბრებულ ადგილებში საწარმოების, ობიექტების მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე და გეოლოგიურ ორგანიზაციებში დასაქმებული მუშაკები, აგრეთვე ამ რაიონებსა და ადგილებში სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტროს ოქროს მომპოვებელ საწარმოებთან ხელშეკრულებების მიხედვით მომუშავე ოქროს მძებნელთა არტელების წევრები;

— კანსკ-აჩინსკის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის საწარმოებისა და ობიექტების მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე და ამ კომპლექსის საჭიროებისათვის ნედლეულის მარაგის დაზვერვის განმხორციელებელ გეოლოგიურ ორგანიზაციებში დასაქმებული მუშაკები;

— დასავლეთ ციმბირში, ყაზახეთის სს რესპუბლიკაში, კომის ასს რესპუბლიკაში, არხანგელსკის ოლქში და შუა აზიის შორეულ და უწყლო რაიონებში ნავთობის მრეწველობის სამინისტროს, გაზის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს და ნავთობისა და გაზის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობაზე დასაქმებული სამშენებლო სამინისტროების საწარმოთა და ორგანიზაციათა და ამ დარგების განვითარებასთან დაკავშირებულ სხვა საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ობიექტების მუშაკები, აგრეთვე ასეთ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მომსახურე სამოქალაქო ავიაციის მუშაკები;

— ჩრდილოეთ ურალის ბოქსიტის მაღაროსა და ამ მაღაროს ობიექტების მშენებლობაზე დასაქმებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკები;

— სსრ კავშირის ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს და სამშენებლო სამინისტროების საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკები, რომლებიც დასაქმებული არიან ტობოლსკის ნავთობქიმიური კომპლექსის მშენებლობაზე;

ზ) **დააწესა**, რომ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები ახორციელებენ თავიანთი კუთვნილი სახლების ექსპლუატაციასა და რემონტს თვითანაზღაურობის საწყისებზე, და დაავალა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გააძლიერონ კონტროლი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივთა სახლების ექსპლუატაციისა და რემონტისადმი;

— მოაწყონ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციათა ძალებით საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე ამ კოოპერატივების საბინაო ფონდისა და სახლისპირა ტერიტორიების მომსახურება;

დააწესა, რომ:

— სოფლად განლაგებულ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივთა სახლებს ემსახურებიან ის საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, აგრეთვე კოლმეურნეობები და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებთანაც შექმნილია საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები, ამ კოოპერატივებთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე;

— აღნიშნულ მომსახურებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ანაზღაურებენ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები საკუთარი სახსრებიდან სახელმწიფო საბინაო ფონდის სახლების მომსახურებისათვის დაწესებული განაკვეთებით ან პირობებით;

— საბინაო-სამშენებლო კოოპერატივთა სახლებში წყალსადენის, კანალიზაციის, თბოფიკაციის და ელექტრული ქსელებისა და მოწყობილობების ტექნიკური მომსახურების ხარჯებს კოოპერატივებს უნაზღაურებენ საწარმოები, რომლებიც იღებენ შემოსავალს ამ ქსელებისა და მოწყობილობების ექსპლუატაციისაგან;

— საბინაო-სამშენებლო კოოპერატივთა სახლებში თბოენერგიით, ელექტროენერგიით, გაზით, წყალსადენითა და კანალიზაციით სარგებლობის საფასური ნაზღაურდება სახელმწიფო საბინაო ფონდისათვის დაწესებული ტარიფების მიხედვით.

14. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციათა ძალებით საბინაო-სამშენებლო კოოპერატივთა სახსრების ხარჯზე კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების მიმდინარე და კაპიტალური რემონტის სამუშაოთა შესრულება სახელმწიფო საბინაო ფონდის სახლების რემონტისათვის დაწესებული პირობებით.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახმომარაგებამ გაითვალისწინონ საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების პროექტებში რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებებისათვის, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებისათვის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისის, ქუთაისისა და ფოთის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებისათვის მატერიალური რესურსების გამოყოფა კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების მიმდინარე და კაპიტალური რემონტის განსახორციელებლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო საბინაო ფონდის სახლების რემონტისათვის დაწესებული ნორმების მიხედვით.

15. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ ერთი თვის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავრობის გადაწყვეტილების პროექტი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივთა სანიმუშო წესდებაში ან დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებათა შეტანის შესახებ.

16. ამ დაგენილების მიღებასთან დაკავშირებით დაევალოს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს სსრ მთავრობის ძალადაკარგულ გადაწყვეტილებათა ნუსხა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჟართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 2 მარტი, № 108.

22 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს საკითხები

„საქართველოს სსრ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების მართვის შემდგომი მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 15 ოქტომბრის № 700 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს:

— თანდართული დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს შესახებ;

— სია სანატორიუმებისა, პანსიონატებისა და საკურორტო დაწესებულებებისა, რომლებსაც გადასცემს დადგენილი წესით საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს, დანართის თანახმად;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს სტრუქტურა.

2. ფინანსური სახსრებისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების უფრო მიზანდასახული და ეფექტიანი გამოყენების, აგრეთვე ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებზე ერთიანი საკურორტო პოლიტიკის განხორციელების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველომ:

— შექმნას მმართველობის აპარატის მუშაკთა რიცხოვნობის ლიმიტების, ხელფასის ფონდების, ზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში და რესპუბლიკის გეოგრაფიული და ეკონომიკური რეგიონირების პრინციპით (საკავშირო პროფსაბჭოს საქვეუწყებო საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის კურორტების გარდა) ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების ზონალური გაერთიანებანი;

— ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და წარმოუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების ზონალურ გაერთიანებათა შექმნის შეთანხმებული გეგმა, იმ ვარაუდით, რომ ეს სამუშაო დამთავრდეს 1985 წელს;

— ნება დართოს შეიქმნას რესპუბლიკის საკურორტო ადგილებში, სადაც ყველაზე მეტი არაორგანიზებულ დამსვენებელთა კონტინგენტი ჩამოდის, საკურორტო ბიუროები, ამასთან დააკისროს მათ საგზურებისა და საკურსეების უქონლად ჩამოსული უკლებლივ ყველა მოქალაქის რეგისტრაცია და მათთვის საკურორტო გამოსაღების გადახდევინება დადგენილი წესით;

— ფართოდ მიიზიდოს სამინისტროთა, უწყებათა, საწარმოთა და დაწესებულებათა ფინანსური სახსრები და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებანი ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების განაშენიანებისა და განვითარებისათვის, ამასთან ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვროს სამინისტროთა და უწყებათა წილობრივი მონაწილეობის ოდენობა, იმ ვარაუდით, რომ შემდგომ მისცეს მათ შესაბამისი შეღავათები მშრომელთა დასვენებისა და მკურნალობისათვის საკურორტო ადგილების გამოყენებაში.

3. „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებული საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებზე საგზურებისა და საკურსეების უქონლად სამკურნალოდ ან დასასვენებლად ჩამოსული მოქალაქეებისაგან საკურორტო გამოსაღების გადახდევინებისა და მისი ხარჯვის საქმეში ნაწილობრივი ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 4 აპრილის № 221 დადგენილების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დაწესდეს, რომ იმ საკურორტო ადგილებში, სადაც შექმნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს საკურორტო ბიუროები, საკურორტო გამოსაღების სახსრები მთლიანად გადადის მათ განკარგულებაში, ხოლო სხვა შემთხვევებში საკურორტო გამოსაღების სახსრები (საბინაო-საშუამავლო ბიუროების განკარგულებაში დატოვებული 10 პროცენტის გარდა) გადადის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების განკარგულებაში. ყველა შემთხვევაში ეს სახსრები გამოიყენება საკურორტო და სააგარაკო ზონების,

პლაჟებისა და საერთო სარგებლობის სხვა ადგილების კეთილმოწყობისათვის, სასტუმროებისა და საზაფხულო ტიპის ნაგებობების მშენებლობისათვის, ავტომობილების სადგომების მშენებლობისა და მოწყობილობის შეძენისათვის და ამ ადგილების სათანადო სანიტარიული მდგომარეობის დაცვის სამუშაოებისათვის.

დაწესდეს, რომ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები საკურორტო გამოსაღების სახსრებს ხარჯავენ მხოლოდ და მხოლოდ ამ მიზნებისათვის".

4. დაწესდეს, რომ კურორტების ტერიტორიაზე განლაგებული დასვენების, ტურიზმის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, ვაჭრობის, კულტურისა და სპორტის ყველა ობიექტი დადგენილი წესით ჩარიცხავს საკურორტო გამოსაღებს ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების ზონალურ გაერთიანებათა ანგარიშზე (ან ცენტრალიზებულ ფონდში).

5. აეკრძალოთ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების ზონალურ გაერთიანებათა საქმიანობის ტერიტორიაზე განლაგებულ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს და აღნიშნულ ტერიტორიაზე მცხოვრებ კერძო პირებს სახლებისა და ნაგებობების გაქირავება დამსვენებელთათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს ადგილობრივი საკურორტო ბიუროების შესაბამისი ნებართვის (სერტიფიკატის) და რაიონული სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სადგურების იმ დასკვნის გარეშე, რომ კერძო სახლები და ნაგებობები ვარგისია ამ მიზნით ექსპლუატაციისათვის.

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახმომარაგებამ განიხილონ და გადაწყვიტონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს საჭირო მოწყობილობით, მექანიზმებით, ხელსაწყოებით, აპარატურით, სატრანსპორტო და სხვა ძირითადი საშუალებებით აღჭურვის საკითხები დაწესებულ ვადებში მის მიერ წარდგენილი დასაბუთებული გაანგარიშების თანახმად.

7. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა:

— გაითვალისწინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოსათვის 1983-1985 წლებში კაპიტალურ დაბანდებათა გამოყოფა „მეთერთმეტე ხუთწლედში საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მატერიალურ-ტექნიკური და სამკურნალო ბაზის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 25 დეკემბრის № 878 დადგენილების № 1 დანართში ჩამოთვლილი ადგილობრივი კურორტების ობიექტების ასაშენებლად;

— რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების წლიური და ხუთწლიანი სახელმწიფო გეგმების პროექტების შემუშავებისას, მოყოლებული მეთორმეტე ხუთწლედიდან, განიხილოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოსათვის კაპიტალურ დაბანდებათა გამოყოფის საკითხი.

8. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად ორი კვირის ვადაში განიხილოს და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს გადაეცეს წინათ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კუთვნილი ქონება და სახსრები, მათ შორის საბიუჯეტო ასიგნებანი.

9. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ:

— დაამტკიცოს დებულება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ი. გ. კონიაშვილის სახელობის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან არსებული კურორტების განვითარების პერსპექტიული დაგეგმვისა და რაციონალური ექსპლუატაციის განყოფილების შესახებ;

— მუდმივი ორგანიზაციულ-მეთოდური ხელმძღვანელობა გაუწიოს სამკურნალო მუშაობას ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების ჯანმრთელობის კერებში და განახორციელოს კონტროლი ამ მუშაობის დაყენებისადმი, მიიზიდოს ამ მიზნით რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და დიდი სამკურნალო დაწესებულებანი;

— გააძლიეროს სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობა კურორტების ბუნებრივი სამკურნალო რესურსების დაცვისადმი;

— გააუმჯობესოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა მომარაგება სამედიცინო მოწყობილობით, აპარატურითა და მედიკამენტებით, განსაზღვროს აღნიშნულ სამმართველოსთან შეთანხმებით მათთვის საჭირო სამედიცინო მოწყობილობის, აპარატურისა და მედიკამენტების ნუსხა და გამოუყოს ისინი ცენტრალიზებული წესით;

— ხელი შეუწყოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების ჯანმრთელობის კერების ექიმებითა და საშუალო სამედიცინო პერსონალით სრულად დაკომპლექტებაში.

10. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ ერთი თვის ვადაში წარმოადგინონ წინადადებანი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ი. გ. კონიაშვილის სახელობის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან არსებული კურორტების განვითარების პერსპექტიული დაგეგმვისა და რაციონალური ექსპლუატაციის განყოფილების ორგანიზაციის შესახებ საჭირო საშტატო ერთეულებისა და ზღვრულ ასიგნებათა გამოყოფით.

11. საქართველოს სსრ სახმშენმა უზრუნველყოს ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების განვითარების გენერალური გეგმებისა და დეტალური დაგეგმარების პროექტების შემუშავება და დამტკიცება საქართველოს სსრ მი-

17.699

ნისტრთა საბჭოსთან არსებულ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოსთან დადგენილი წესით შეთანხმებული გეგმების მიხედვით.

12. დაეკისროს ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების დაპროექტებისა და განაშენიანების გენერალური შემკვეთის ფუნქციები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოს.

13. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარმა სამეურნეო სამმართველომ და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ორი თვის ვადაში წარმოადგინონ წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს აპარატისა და მისი ქვედანაყოფების მოსათავსებლად სადგომის გამოყოფის შესახებ.

14. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს შექმნასთან დაკავშირებით;

— გარდაიქმნას თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოს საკურორტო სამმართველო თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების ზონალურ გაერთიანებად; ჩაითვალოს აღნიშნული გაერთიანების მთავარი ექიმი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს უფროსის მოადგილედ;

— გადიდდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს აპარატი თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოს საკურორტო სამმართველოს მუშაკთა 19 განთავისუფლებული საშტატო ერთეულისა და შესაბამისი ხელფასის ფონდის ხარჯზე.

15. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულმა საწარმოებმა და დაწესებულებებმა მიიღონ ქმედითი მონაწილეობა ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების განაშენიანებასა და განვითარებაში და არ დაუშვან მომავალში ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების ტერიტორიაზე საკურორტო ობიექტების მშენებლობა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოსთან წინასწარ შეუთანხმებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 9 მარტი № 120.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1983 წლის 9 მარტის № 120 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველო („საქკურორტი"), რომელიც „საქართველოს სსრ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების მართვის შემდგომი მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 15 ოქტომბრის № 700 დადგენილების შესაბამისად შეიქმნა, არის რესპუბლიკური ორგანო და თავის საქმიანობაში ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

აღნიშნული სამმართველო, მისი საქვეუწყებო ორგანიზაციები, საწარმოები და დაწესებულებები შეადგენენ ერთიან სისტემას.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს აპარატის შენახვა ხორციელდება მისი საქვეუწყებო ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებების შემოსავლის ანარიცხების ხარჯზე.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველო არის იურიდიული პირი, იმყოფება დამოუკიდებელ ბალანსზე, აქვს ანგარიშები შესაბამისი ბანკების კანტორებში და მოქმედებს ამ დებულების საფუძველზე.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს ძირითადი ამოცანებია:

ა) რესპუბლიკის ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების შემდგომი გეგმაზომიერი და მიზანდასახული განვითარება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა შესაბამისად;

ბ) კურორტებზე ჩამოსული როგორც ორგანიზებული, ისევე არაორგანიზებული კონტინგენტის სანატორიულ-საკურორტო მკურნალობის, მომსახურების პირობების თანამიმდევრული გაუმჯობესება;

გ) სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარება რესპუბლიკის ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებზე ბუნებრივი სამკურნალო რესურსების სწორი ექსპლუატაციის საქმეში;

დ) საკურორტო მშენებლობის ორგანიზაცია, კაპიტალური მშენებლობის საპროექტო დავალებებისა და ხარჯთაღრიცხვების დამტკიცება დადგენილი წესით და კურორტების დაგეგმარებასა და სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებების შენობათა აგებაზე დასკვნების გაცემა;

ე) ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებათა განხორციელება, მათი გადაყვანა სრულწლიურ ფუნქციონირებაზე;

ვ) ყველა დაინტერესებული სამინისტროსა და უწყების საქმიანობის კოორდინაცია მათი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებისა და ფინანსური სახსრების კონცენტრაციის გზით ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების განვითარებაში წილობრივი მონაწილეობისათვის უფრო ფართოდ მიზიდვის მიზნით;

ზ) მშრომელთა სანატორიულ-საკურორტო მკურნალობისა და დასვენების ოპტიმალური რეჟიმების შემუშავება და დანერგვა მოწინავე სამამულო და საზღვარგარეთული გამოცდილების გათვალისწინებით;

თ) შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვა, საქვეუწყებო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების უზრუნველყოფა კვალიფიციური კადრებით;

ი) სოციალისტური შეჯიბრების ყოველმხრივი განვითარების უზრუნველყოფა, სამმართველოს შემადგენლობაში შემავალ ორგანიზაციათა კოლექტივების სოციალური განვითარების ღონისძიებათა განხორციელება;

კ) სისტემის ყველა სანატორიულ-საკურორტო და გამაჯანსაღებელ დაწესებულებაში პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი კონტროლის განხორციელება.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველო მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) შეიმუშავებს წინადადებებს საქართველოს სსრ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების განვითარების ძირითად მიმართულებათა შესახებ და წარუდგენს მათ განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

ბ) შეადგენს ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების მშენებლობისა და განვითარების პერსპექტიული და წლიური გეგმების პროექტებს დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების წინადადებათა საფუძველზე და ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების მართვის რესპუბლიკურ საკოორდინაციო საბჭოსთან შეთანხმების შემდეგ წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმის პროექტში შესატანად;

გ) კოორდინაციას გაუწევს ყველა დაინტერესებული სამინისტროს, უწყებისა და საწარმოს საქმიანობას ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების განვითარებაში წილობრივი მონაწილეობისათვის მათი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებისა და ფინანსური სახსრების უფრო ფართოდ მიზიდვის მიზნით;

დ) კონტროლს გაუწევს ცალკეულ საწარმოთა და დაწესებულებათა საქმიანობას (მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა) იმ ნაწილში, თუ როგორ ასრულებენ ისინი პარტიისა და მთავრობის სადირექტივო მითითე-

ბებს, აგრეთვე საქართველოს სსრ კანონმდებლობას რესპუბლიკის ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების ზონებში განლაგებული სანატორიულ-საკურორტო და გამაჯანსაღებელი დაწესებულებების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და ვაჭრობის ობიექტების ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის საკითხებზე;

ე) განსაზღვრავს და წარუდგენს დადგენილი წესით დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების საზღვრებსა და აღნიშნული კურორტების ზონალურ გაერთიანებათა საზღვრებს;

ვ) განახორციელებს რესპუბლიკის ახალი საკურორტო ფაქტორების ძიებისა და არსებულის ეფექტიანი გამოყენების მიზნით განხორციელებულ მეცნიერულ სამუშაოთა კოორდინაციას, მეცნიერულ-ტექნიკურ თანამშრომლობას სსრ კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების სამეცნიერო, საპროექტო და საწარმოო ორგანიზაციებთან ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებზე ბუნებრივი საკურორტო რესურსების გამოყენების, დაცვა-შენარჩუნებისა და განვითარების უმნიშვნელოვანეს პრობლემათა გადასაჭრელად;

ზ) შეიმუშავებს ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით წინადადებებს იმის შესახებ, რომ შეიქმნას ადგილობრივი კურორტების მართვის ძირეული რგოლები — ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების ზონალური გაერთიანებანი იმ ვარაუდით, რომ მათი ხელმძღვანელობა დაეკისროთ საბაზო სანატორიუმების მთავარ ექიმებს (იგივე — კურორტის მთავარი ექიმი), და წარუდგენს მათ განსახილველად საქართველოს სსრ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების მართვის რესპუბლიკურ საკოორდინაციო საბჭოს შემდგომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსათვის წარსადგენად;

თ) გამოიყენებს ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების ტერიტორიაზე განლაგებული სხვადასხვა დაწესებულებისა და უწყებისათვის გადახდევინებულ საკურორტო გამოსაღებს კურორტების შემდგომი კეთილმოწყობისა და ახალი საკურორტო რესურსების ძიებისათვის;

ი) შექმნის საკურორტო ბიუროებს არაორგანიზებულად ჩამოსულთა მოსათავსებლად, გამოიყენებს ამ მიზნით როგორც ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების ტერიტორიაზე განლაგებულ სასტუმროებს, ისევე კერძო პირთა ბინებს შესაბამის სანიტარიულ-ტექნიკურ მდგომარეობაში მათი მოყვანის შემდეგ.

სასტუმროების შემოსავალი და ბინების გამქირავებელ პირთა საკურორტო გამოსაღები ჩაირიცხება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს ბიუჯეტში;

კ) მოაწყობს საქართველოს სსრ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების მართვის რესპუბლიკურ საკოორდინაციო საბჭოსთან შეთანხმებით კურორტებისათვის საჭირო დახმარე ეეურნეობებს, სხვა წარმოებებსა და საწარმოებს საფინანსო ბაზის განმტკიცებისა და კურორტებზე სამკურნალოდ და დასასვენებლად ჩამოსულ პირთა სასურსათო უზრუნველყოფისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით;

ლ) დაამუშავებს კურორტების ეკონომიკის სრულყოფის საკითხებს, მიაღწევს შესაბამისი ორგანოების მეშვეობით მომსახურების მოცულობის ყოველმხრივ გაფართოებას, დანერგავს აქტიურ დასვენების ახალ ფორმებს (ნადირობა, სამკურნალო ტურიზმი, თევზის ჭერა და ა. შ.), რომელთა შემოსავალი ჩაირიცხება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს ბიუჯეტში;

მ) განახორციელებს დაინტერესებულ უწყებათა კოოპერირებული სახსრების, აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების გამოყენების გზით მაქსიმალური რაოდენობის სანატორიულ-საკურორტო და გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გადაყვანას სრულწლიური მუშაობის რეჟიმზე;

ნ) ყოველი ღონისძიებით გააფართოებს სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და პანსიონატების რაოდენობას, რომლებიც განკუთვნილია მშობლთა და ბავშვთა სანატორიულ-საკურორტო მკურნალობისა და დასვენებისათვის;

ო) დააყენებს დადგენილი წესით საკითხს იმ პირთა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის შესახებ, რომელთაც დანაშაული მიუძღვით საქართველოს სსრ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებზე საკურორტო რესურსების თვითნებურად გამოყენებაში, ან ზარალს აყენებენ მათ;

პ) შეადგენს ადგილობრივი მნიშვნელობის დასასვენებელ დაწესებულებათა წლიურ კრებსით ანგარიშს და წარუდგენს მას საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს;

ჟ) წარუდგენს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამედიცინო ანგარიშს სანატორიუმების საქმიანობის შესახებ.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს აპარატის სტრუქტურასა და საშტატო განრიგს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს უფროსს ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს უფროსს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს უფროსი:

ა) გამოსცემს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ბრძანებებსა და ინსტრუქციებს და კონტროლს გაუწევს მათს შესრულებას;

ბ) შრომის კანონმდებლობის შესაბამისად მიიღებს სამუშაოზე და დაითხოვს სამუშაოდან სამმართველოს მუშაკებს;

გ) გააუქმებს სამმართველოს შემადგენლობაში შემავალი დამოუკიდებელი ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა ბრძანებებს ან გამოსცემს შესასრულებლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავალდებულო მითითებებს აღნიშნულ ბრძანებათა შეცვლის შესახებ, თუ ისინი ეწინააღმდეგებიან მოქმედ კანონმდებლობას;

დ) გახსნის დადგენილი წესით ბანკების დაწესებულებებში საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებს და შეასრულებს მათ გამო შესაბამის ოპერაციებს;

ე) ჩამოსწერს დადგენილი წესით სამმართველოს ბალანსიდან მორალურად დაძველებულ, ფიზიკურად გაცვეთილ, შემდგომი გამოყენებისათვის უვარგის სატრანსპორტო საშუალებებს, მოწყობილობას, ინვენტარსა და ინსტრუმენტებს;

ვ) განიხილავს და დაამტკიცებს საქვეუწყებო ორგანიზაციათა საბუღალტრო ანგარიშებსა და ბალანსებს, განახორციელებს საფინანსო კონტროლს და ჩაატარებს ამ ორგანიზაციათა საქმიანობის რევიზიას;

ზ) დადებს სამმართველოს ორგანიზაციების მიერ საწარმოო გეგმების, აგრეთვე სხვა საგეგმო დავალებების შესრულებისათვის საჭირო სამეურნეო ხელშეკრულებებს;

თ) წარმოადგენს სამმართველოს ინტერესებს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, აგრეთვე სასამართლოსა და არბიტრაჟის ორგანოებში;

ი) დაუმტკიცებს საგეგმო დავალებებს სამმართველოს შემადგენლობაში შემავალ ორგანიზაციებს;

კ) განსაზღვრავს თავის მოადგილეთა და სამმართველოს სხვა ხელმძღვანელ მუშაკთა ფუნქციებს.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს უფროსის მოადგილეები მათთვის დაკისრებულ მოვალეობათა ფარგლებში მოქმედებენ მინდობილობის გარეშე, წარმოადგენენ რა სამმართველოს ინტერესებს სხვა საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, ასრულებენ სამეურნეო ოპერაციებს და დებენ ხელშეკრულებებს, აგრეთვე აძლევენ მინდობილობას სამმართველოს უფლებამოსილ მუშაკებს.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოში იქმნება კოლეგია, რომლის შემადგენლობაში შედიან სამმართველოს უფროსი (კოლეგიის თავმჯდომარე), მისი მოადგილეები (თანამდებობის მიხედვით) და სამმართველოს სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს კოლეგიის წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

13. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს კოლეგია მოისმენს და განიხილავს სისტემის დაწესებულებათა და საწარმოთა მუშაობასთან დაკავშირებულ

საკითხებს, ბრძანებების, ინსტრუქციებისა და სხვა დოკუმენტების პროექტებს, საქვეუწყებო ორგანიზაციათა მოხსენებებსა და ანგარიშებს, მათი ფუნქციებისა და ამოცანების შესაბამისად.

14. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება სამმართველოს უფროსის ბრძანებებით. სამმართველოს უფროსსა და კოლეგიის წევრთა შორის უთანხმოების წარმოქმნის შემთხვევაში უფროსი განახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან მოახსენებს ამის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს. კოლეგიის წევრებს უფლება აქვთ თავის მხრივ აცნობონ თავიანთი აზრი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

15. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველო მოაწყობს საქვეუწყებო ორგანიზაციების მიერ საჯარო და სუბსაჯარო ხელშეკრულებათა დადებას, კონტროლს გაუწევს ხელშეკრულებათა დროულად გაფორმებასა და დადებას და მხარეთა მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობას.

16. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველო დადგენილი წესით შექმნის, გარდაქმნის და გააუქმებს საქვეუწყებო სამეურნეო ორგანიზაციებს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმით ამ სამმართველოსათვის გათვალისწინებული მუშაკთა რიცხოვნობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში.

17. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს ქონებას შეადგენენ სამმართველოს შემადგენლობაში შემავალი დამოუკიდებელი ორგანიზაციებისათვის მიჩენილი ძირითადი და საბრუნავი სახსრები, ფონდები და სხვა ქონება.

18. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს ორგანიზაციებისათვის მიჩენილი ქონება აისახება მათს დამოუკიდებელ ბალანსებზე.

19. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს აქვს მრგვალი ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1983 წლის 9 მარტის № 120 დადგენილებით

ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს აპარატისა

სამმართველოს უფროსი
სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე
სამმართველოს უფროსის მოადგილე მშენებლობის დარგში
სამმართველოს უფროსის მოადგილე სამეურნეო-ეკონომიკურ საკითხებში
უფროსი იურისკონსულტი

სამკურნალო განყოფილება

განყოფილების უფროსი (ექიმი)
უფროსი ინსპექტორი (ექიმი)
ინსპექტორი (ექიმი)
ინსპექტორი საგზურების რეალიზაციის დარგში
მედსტატისტიკოსი (ექიმი)

საინჟინრო-ტექნიკური განყოფილება

განყოფილების უფროსი (მთავარი ინჟინერი)
უფროსი ინჟინერი
ინჟინერ-გეოლოგი
ინჟინერი შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის დარგში

საგეგმო-საფინანსო განყოფილება

განყოფილების უფროსი
უფროსი ეკონომისტი
ეკონომისტი

საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილება

განყოფილების უფროსი, იგივე მთავარი ბუღალტერი
უფროსი ბუღალტერი
ბუღალტერი
მოანგარიშე-მოლარე

საკონტროლო-სარევიზიო განყოფილება

საკონტროლო-სარევიზიო განყოფილების უფროსი
უფროსი კონტროლიორ-რევიზორი
კონტროლიორ-რევიზორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება

ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილების უფროსი
კანცელარიის უფროსი
მდივანი
მემანქანეები
სამსახურების ტექნიკოსი
მძღოლები
უფროსი ინსპექტორი კადრებისა და სპეცმუშაობის დარგში
შიკრიკი
დამლაგებელი

მომარაგების განყოფილება

მომარაგების განყოფილების უფროსი
მომარაგების აგენტი
საწყობის გამგე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1983 წლის 9 მარტის № 120 დადგენილების დანართი

ს ი ა

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სანატორიუმებისა, პანსიონატებისა და საკურორტო დაწესებულებებისა, რომლებიც გადაეცემა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს

სანატორიუმებისა და კურორტების დასახელება	რაიონების დასახელება	დაწესებულებების სახეობა	საწოლების ფონდი
სახელმწიფო ბიუჯეტზე არსებული სანატორიუმები			
„არაზინდო“	ადიგენის რაიონი, დაბა აბასთუმანი	ტუბსანატორიუმი	250
„ალობილი“	„	„	325
„ვარძია“	„	„	175
„ზეკარი“	„	„	200
„მესხეთი“	„	„	100
„გულრიფში“	დაბა გულრიფში	„	500
„ლიბანი“	ბორჯომის რაიონი, სოფ. ლიბანი	„	200
„თბილისი“	ქ. თბილისი (სტუდენტთა ქალაქი)	„	150
„მტკვარი“	ბორჯომის რაიონი, სოფ. ჩითახევი	„	125
„ცისარტყელა“	ადიგენის რაიონი, დაბა აბასთუმანი	ბავშვთა ტუბსანატორიუმი	75
„გაზაფხული“	ქ. თბილისი, ავჭალა	„	100
„ალიონი“	გარდაბნის რაიონი, დაბა კოჯორი	„	100
„განთიადი“	„	„	75
„ნაკადული“	თეთრი წყაროს რაიონი, დაბა მანგლისი	ბავშვთა ტუბსანატორიუმი	100
„განთიადი“	ბორჯომის რაიონი, სოფ. ცემი	„	150
„მზიური“	„	„	175
„ოქროს ველი“	გურჯაანის რაიონი, სოფ. ახტალა	„	60
„არხილოსკალო“	ქ. წითელწყარო	„	100
„მზის სხივი“	ბორჯომის რაიონი დაბა ბაკურიანი	„	125

სანატორიუმებისა და კურორტების დასახელება	რაიონების დასახელება	დაწესებულებების სახეობა	საწოლების ოდენობა
„თოლია“	ქ. ქობულეთი	ბავშვთა სანატორიუმი	100
„ოქროს ნაპირი“	ქ. ქობულეთი	„	75
„დილა“	გარდაბნის რაიონი, დაბა კოჯორი	„	75
„ტალღა“	გაგრის საქალაქო საბჭო, სოფ. ლესელიძე	„	125
„ნაკადული“	ხაშურის რაიონი, დაბა სურამი	„	125
„მთის მზე“	„	„	75
„კოლხეთი“	მახარაძის რაიონი, დაბა ურეკი	„	200
„ცისკარი“	ქ. წყალტუბო	„	75
„ყვავილნარი“	ლანჩხუთის რაიონი, სოფ. წყალწმინდა	„	75
„ჯავა“	დაბა ჯავა	„	50
—	ქ. მახარაძე	ადრეული ასაკის ბავშვთა სანატორიუმი	50
—	ქ. მახარაძე	სკოლამდელი ასაკის ბავშვთა სანატორიუმი	25
„თბილისი“	ქ. თბილისი	კუჭნაწლავის დაავადებათა სამკურნალო სანატორიუმი	60
„ჯეჯილი“	ქ. თბილისი	ბავშვთა რევმოკარდიოლოგიური სანატორიუმი	75
„დილა“	ქ. თბილისი	ბავშვთა ფსიქონევროლოგიური სანატორიუმი	80

სამეურნეო ანგარიშზე არსებული პანსიონატები და საკურორტო დაწესებულებები

„ამაღლება“	ვანის რაიონი, სოფ. ამაღლება	პანსიონატი (მკურნალობით)	100
„სულორი“	ვანის რაიონი, სოფ. სულორი	„	250
„ასპინძა“	დაბა ასპინძა	„	120
„ახალციხე“	ქ. ახალციხე	„	25
„გორიჯვარი“	ქ. გორი	„	70
„ზეკარი“	მაიაკოვსკის რაიონი ზეკარი	„	110
„საირმე“	მაიაკოვსკის რაიონი, საირმე	„	120

სანატორიუმებისა და კურორტების დასახელება	რაიონების დასახელება	დაწესებულებების სახეობა	საწოლების რიცხვი
„კვერეთი“	საჩხერის რაიონი, სოფ. კვერეთი	„	100
„ლებარდე“	გეგეჭკორის რაიონი, სოფ. ლებარდე	„	500
„მუაში“	ლეხტეხის რაიონი, სოფ. მუაში	„	100
„ცისარტყელა“	თეთრი წყაროს რაიონი, დაბა მახგლისი	პანსიონატი (მკურნალობით)	200
„ფიქვნარი“	„	„	80
„ნასაკირალი“	მახარეძის რაიონი, სოფ. ნასაკირალი	„	90
„ნუნისი“	ორჯონიკიძის რაიონი, სოფ. ნუნისი	„	140
„ოქტომბერი“	ყვარლის რაიონი, სოფ. ოქტომბერი	„	140
„სკური“	წალენჯიხის რაიონი, სკური	„	170
„თორღვას აბანო“	თელავის რაიონი	„	80
„უჯარმა“	საგარეჯოს რაიონი, სოფ. უჯარმა	„	170
„ხოვლე“	კასპის რაიონი, სოფ. ხოვლე	„	35
„ცისკარი“	გარდაბნის რაიონი, დაბა კოჯორი	ბავშვთე პანსიონატი	110
„მზიური“	თბილისის საქალაქო საბჭოს ზონა, დაბა წყნეთი	„	11
„სამტრედია“	ქ. სამტრედია	საკურორტო პოლიკლინიკა	
თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი	ქ. თბილისი	„	

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

23 საქართველოს სსრ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების მართვის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების მართვის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 9 მარტი, № 121.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1983 წლის 9 მარტის № 121
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების მართვის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს შესახებ

1. საქართველოს სსრ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების მართვის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭო, შემდგომ საკოორდინაციო საბჭოდ წოდებული, არის ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს სსრ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების კომპლექსურ, გეგმაზომიერ და მიზანდასახულ განვითარებას.

2. საკოორდინაციო საბჭო ახორციელებს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებულ სანატორიულ-საკურორტო და გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა საქმიანობის კოორდინაციას, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა (საკავშირო პროფსაბჭოს ობიექტების გარდა), რესპუბლიკის სამკურნალო რესურსებისა და საკურორტო ფაქტორების რაციონალური გამოყენების და სანატორიულ-საკურორტო რეჟიმის ორგანიზაციის ნაწილში.

3. საკოორდინაციო საბჭო განიხილავს ყველა საკითხს, რომლებიც შეეხება:

— საკურორტო ადგილების დადგენასა და ადგილობრივი მნიშვნელობის საკურორტო ზონების განსაზღვრას;

—ახალი საკურორტო ფაქტორების, მინერალური და თერმული წყლების ძიებასა და ექსპლუატაციას და მათი პერსპექტიული განვითარების მიზანშეწონილობის განსაზღვრას;

— ახალი მშენებლობის დაპროექტებას, არსებული სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებების, აგრეთვე ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებზე განლაგებული ჯანმრთელობის დაცვის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და ვაჭრობის ობიექტების რეკონსტრუქციას;

— იმ დამხმარე მეურნეობათა და სხვა წარმოებათა და საწარმოთა ორგანიზაციასა და ლიკვიდაციას, რომლებიც ესაჭიროებათ ადგილობრივ კურორტებს და მიზნად ისახავენ ადგილობრივი კურორტების ფინანსური ბაზის განმტკიცებას, ორგანიზებულ დამსვენებელთა და კურორტებზე სამკურნალოდ და დასასვენებლად უსაგზაროდ ჩასულ პირთა სასურსათო უზრუნველყოფისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას;

— როგორც ორგანიზებულ, ისევე არაორგანიზებულ დამსვენებელთა კონტინგენტის მაღალკვალიფიციური, სრულფასოვანი, საყოველთაოდ ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების შემდგომ განვითარებას.

4. საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებანი და რეკომენდაციები ფორმდება დადგენილი წესით მათი შეთანხმების შემდეგ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის — საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის განკარგულებებით.

5. საკოორდინაციო საბჭო განიხილავს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებისა და სხვა ორგანიზაციებისაგან შესულ წინადადებებს ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების ტერიტორიაზე საკურორტო ადგილების, მინერალური და თერმული წყლების გამოყენებისა და განვითარების შესახებ.

6. საკოორდინაციო საბჭო ამოწმებს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებული ყველა დაინტერესებული ორგანიზაციისა და უწყების საქმიანობას, რაც დაკავშირებულია ადგილობრივ კურორტებთან.

7. საკოორდინაციო საბჭო შეიმუშავებს და წარუდგენს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებებს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ერთიანი საკურორტო პოლიტიკის განხორციელების შესახებ, აგრეთვე საკითხებს, რომელთა გადაწყვეტა საქართველოს სსრ მთავრობის კომპეტენციას განეკუთვნება და რომლებიც დათქმული არაა ამ დებულებაში.

8. საკოორდინაციო საბჭო ამზადებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსათვის შემდგომ საკავშირო პროფსაბჭოს, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და სხვა საკავშირო ორგანიზაციების წინაშე დაყენების მიზნით საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ადგილობრივი კურორტების შემდგომ განვითარებასთან და ამ კურორტებზე მშრომელთა სამედიცინო დახმარებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობის გაუმჯობესებასთან.

9. საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე არის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც განაგებს ჯანმრთელობის დაცვის საკითხებს.

10. საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (საქართველოს სსრ სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის უფლებებით) არის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული აღგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს უფროსი.

11. საკოორდინაციო საბჭოს წევრები არიან თანამდებობის მიხედვით: საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ სახმომარაგების თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეები, საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველოს უფროსის მოადგილე, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ სახმშენის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე, რესპუბლიკური გაერთიანება „საქკოლმეურნჯანმრთელობის“ თავმჯდომარე, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ი. გ. კონიაშვილის სახელობის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

12. საკოორდინაციო საბჭოს სამუშაო ორგანო არის საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ი. გ. კონიაშვილის სახელობის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან არსებული კურორტების განვითარების პერსპექტიული დაგეგმვისა და რაციონალური ექსპლუატაციის განყოფილება, აღნიშნული განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი — იგივე საკოორდინაციო საბჭოს მდივანი.

---

24 შიო მღვიმელის სახელობის ლიტერატურული პრემიის დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

გათვალისწინებულ იქნეს საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურის დიდი მნიშვნელობა მოზარდი თაობის იდეური და ესთეტიკური აღზრდისათვის და ლიტერატურის ამ დარგის შემდგომი სტიმულირების მიზნით:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს მწერალთა კავშირის წინადადება და ნება დაერთოს მას დააწესოს საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებისათვის შიო მღვიმელის სახელობის ყოველწლიური ლიტერატურული პრემია.

2. შიო მღვიმელის სახელობის პრემია განისაზღვროს 1.500 მანეთით.

3. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს 1983 წლიდან ყოველწლიურად გამოუყოს საქართველოს მწერალთა კავშირს შიო მღვიმელის სახელობის პრემიის გასაცემად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სარეზერვო ფონდიდან 1.500 მანეთი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წლის 14 მარტი, № 130.

25 საქართველოს თეატრალური საზოგადოების წესდების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს თეატრალური საზოგადოების წესდება, მიღებული საქართველოს თეატრალური საზოგადოების მეცხრე ყრილობის მიერ 1981 წლის 12 ოქტომბერს.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 4 აპრილის № 221 დადგენილება „საქართველოს თეატრალური საზოგადოების წესდების დამტკიცების შესახებ“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 13 ოქტომბრის № 532 დადგენილება „საქართველოს თეატრალური საზოგადოების წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 22 ოქტომბრის № 733 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 4 აპრილის № 221 დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოს თეატრალური საზოგადოების წესდებაში“ ცვლილებათა შეტანის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 18 მარტი, № 137.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1983 წლის 18 მარტის № 137
დადგენილებით

საქართველოს თეატრალური საზოგადოების წესდება

I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს თეატრალური საზოგადოება (სთს) არის საზოგადოებრივი შემოქმედებითი ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს საქართველოს სსრ თეატრალური ხელოვნების მუშაკებს, ხელს უწყობს სოციალისტური რეალიზმის მეთოდის საფუძველზე ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებას.

2. საქართველოს თეატრალური საზოგადოება ხელმძღვანელობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებითა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით და მტკიცედ იცავს კომუნისტური მორალის ნორმებს, უკომპრომისოდ ებრძვის ნეგატიური მოვლენების ყოველგვარ გამოვლენას თეატრალურ ხელოვნებაში, ხელს უწყობს სასცენო ნაწარმოებების შექმნას, რომლებიც ემსახურება ხალხის ესთეტიკურ აღზრდას, განამტკიცებს თეატრის მუშაკთა კავშირს ცხოვრებასთან, ზრდის მათ საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

II. საქართველოს თეატრალური საზოგადოების ამოცანები

3. საქართველოს თეატრალური საზოგადოება:

— ზრუნავს თეატრალური შემოქმედების ხელწერის მრავალფეროვნებისათვის, გამომსახველობითი ფორმების გამდიდრებისათვის, გაბედული შემოქმედებითი ექსპერიმენტების განხორციელებისათვის, ხელს უწყობს თეატრალურ მოღვაწეთა იდეურ-პოლიტიკური დონისა და პროფესიული ოსტატობის ამაღლებას, კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლას, ქართული თეატრის საწყისების, საბჭოთა თეატრის კლასიკური მემკვიდრეობის დაცვასა და საუკეთესო ტრადიციების შეთვისებას, აქტიურად ეხმარება სახალხო თეატრების, თვითმოქმედი თეატრალური კოლექტივებისა და კულტურის უნივერსიტეტების მუშაობას. ხელს უწყობს სასცენო ტექნიკისა და თეატრალური წარმოების განვითარებას, ზრუნავს ახალგაზრდა შემოქმედთა პროფესიულ აღზრდა-დაწინაურებისათვის, თეატრის მაყურებელთა ახალი თაობების ესთეტიკური გემოვნების ამაღლებისათვის, წარმართავს მთელ თავის საქმიანობას საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და მის ადგილობრივ ორგანოებთან მჭიდრო ურთიერთობით;

— აძლიერებს ორგანიზაციულ და შემოქმედებით კავშირს მოძმე რესპუბლიკების, სოციალისტური ქვეყნების თეატრალურ უწყებებთან, აწყობს შეხვედრებს გამოცდილებათა ურთიერთგასაზიარებლად, უზრუნველყოფს „მეგობრობის თეატრის“ საშუალებით საბჭოთა კავშირის მრავალეროვანი თეატრალური ხელოვნების მიღწევათა პროპაგანდას რესპუბლიკაში, თანამედროვე ქართული თეატრალური ხელოვნების საუკეთესო ნიმუშების ჩვენებას რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ და სოციალისტურ ქვეყნებში, ამყარებს მჭიდრო ურთიერთობას რესპუბლიკის შემოქმედებით კავშირებთან, საგუნდოქორეოგრაფიულ საზოგადოებასთან მოსახლეობის ესთეტიკური აღზრდის მიზნით;

— მართავს შემოქმედებითს პლენუმებს, კონფერენციებს, თემატურ კონკურსებს, ლექტორიუმებს, სემინარებს, სამეცნიერო სესიებს, დისკუსიებს, თათბირებს, შეხვედრებს, ეხმარება თეატრალურ კოლექტივებს რეპერტუარის ფორმირებაში, თეატრის ცალკეულ მოღვაწეებს — სასცენო ნაწარმოებების შერჩევაში, მუშაობს დრამატურგებთან თანამედროვეობის ამსახველი პიესების შესაქმნელად, კონსულტაციებს უწევს თეატრალურ კოლექტივებს, ავზავნის თეატრებში სპეციალისტებს შემოქმედებითი დახმარების აღმოსაჩენად;

— ავზავნის თეატრალურ მოღვაწეებს შემოქმედებითს მივლინებაში სსრ კავშირის ხალხთა კულტურის მიღწევათა გასაცნობად, საგასტროლოდ ჩამოჰყავს თბილისში რესპუბლიკის სახელმწიფო და სახალხო თეატრების კოლექტივები;

— ეხმარება საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს ტელე-რადიოსპექტაკლების, თეატრალური გადაცემების იდეურ-მხატვრული დონის ამაღლებაში, განსაკუთრებით ახალგაზრდა მსმენელ-მაყურებლის გემოვნების ჩამოყალიბებაში. ამ მიზნით მართავს სემინარებს, კონკურსებს, თეატრალური ხელოვნების მიღწევათა ტელე-რადიო დათვალიერებებს ჯილდო-პრემიების გაცემით;

— ამყარებს შემოქმედებითს კონტაქტს მოკავშირე რესპუბლიკების თეატრალურ საზოგადოებებთან, ახორციელებს ეროობლივ ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობს ინტერნაციონალური მეგობრობის განმტკიცებას, ურთიერთდახმარებასა და შემოქმედებითი გამოცდილების გაზიარებას;

— ამზადებს და გამოსცემს „საქართველოს თეატრალური საზოგადოების“ გრიფით წიგნებს, რომლებშიც განზოგადებული იქნება რევოლუციამდელი და ქართული საბჭოთა თეატრის, მისი ოსტატების შემოქმედებითი გამოცდილება, ბეჭდავს თეატრალურ მოღვაწეთა მემუარებს, მეთოდიკურ და დამხმარე სახელმძღვანელოებს თეატრის საკითხებზე, პიესებს, სკეტჩებს, ლიტერატურას თვითმოქმედი თეატრალური წრეებისა და სახალხო თეატრების დასახმარებლად, აგრეთვე კრებულებს, ყოველთვიურ ან ორთვიურ ალმანახს „თეატრალურ მოამბეს“, რომლებიც ასახავენ თეატრალური საზოგადოებრიობის შემოქმედებითს ცხოვრებას. ყოველწლიურად, ქართული თეატრის დღესთან დაკავშირებით, უშვებს ერთდროულ გაზეთს „ქართული თეატრის დღე“, საქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველოს თეატრალური საზოგადოების ყოველი ყრილობისადმი მიძღვნილ ერთდროულ გაზეთს, ყოველი თეატრალური სეზონის შემაჯამებელი სპეციალური პლენუმისათვის — ერთდროულ გაზეთს დედაქალაქისა და, განსაკუთრებით, პერიფერიის თეატრების შემოქმედებითი მუშაობის შესაფასებლად;

— შემოქმედებითს დახმარებას უწევს სახალხო თეატრებს, ხალხური შემოქმედების სახლებსა და თეატრალური თვითმოქმედების კოლექტივებს. აწყობს სემინარებს თვითმოქმედი კოლექტივების ხელმძღვანელებისათვის, კონსულტაციებს თეატრალური ხელოვნების საკითხებზე, სისტემატურად აღნიშნავს ქართული თეატრისა და თეატრის საერთაშორისო დღეს;

— ეხმარება საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს განახორციელოს შემოქმედებითი ხასიათის ღონისძიებანი, სწორად წარმართოს სარეპერტუარო პოლიტიკა, ერთობლივად მიიღოს სპექტაკლები, მონაწილეობს რესპუბლიკის თეატრების საკითხთა განხილვაში;

— აარსებს და ინახავს საზოგადოების საჭიროებათა უზრუნველსაყოფად მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქ. თბილისსა და აუცილებელ შემთხვევაში საქართველოს სსრ დიდ ქალაქებში წარმოებრივ საწარმოებს, სტამბას, სამკერვალო სახელოსნოს ან ატელიეს, საფირმო მაღაზიებს, რომლებიც შეესაბამება საზოგადოების წესდებით გათვალისწინებულ ამოცანებს;

— აარსებს და ინახავს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქ. თბილისსა და აუცილებელ შემთხვევაში საქართველოს სსრ დიდ ქალაქებში მსახიობის სახლებს, შემოქმედებითს კლუბებს, ბიბლიოთეკებს, მემორიალურ მუზეუმებს, სახლ-მუზეუმებს, ექსპერიმენტულ თეატრალურ-მუსიკალურ და დრამატულ კოლექტივებს, სცენის ვეტერანთა სახლებს, სამკურნალო დაწესებულებებს, სანატორიუმებს, დასასვენებელ სახლებს, საერთო საცხოვრებლებს, ინტერნატებს, საბავშვო ბაგა-ბაღებს, აგარაკებს, პიონერთა ბანაკებს, სასტუმროს, სპორტულ სექციებსა და დაწესებულებებს, სცენოგრაფიულ გამოფენებს, დახურული ტიპის თეატრალურ კაფე-ბარს ნახევარფაბრიკატების მაღაზიით, რომელთა მიზანია პროფესიული და სახალხო თეატრების, აგრეთვე თვითმოქმედი კოლექტივებისა და საზოგადოების წევრთა სასცენო მოღვაწეობისათვის ხელის შეწყობა და პირად მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება;

— ახორციელებს დადგენილი წესის მიხედვით საცხოვრებელი სახლების, სოციალურ-კულტურულ, საყოფაცხოვრებო და საწარმოო დანიშნულების შენობათა მშენებლობას;

— აძლევს სესხს და უწევს ერთდროულ მატერიალურ დახმარებას საზოგადოების წევრებს ინვალიდობის, შრომის დროებითი უუნარობისა და სხვა განსაკუთრებულ შემთხვევებში, ქმნის ურთიერთდამხმარე სალაროებს, ეხმარება სამუშაოზე მოწყობაში იმ თეატრალურ მუშაკებს, რომლებსაც არ აქვთ საშუალება იმუშაონ თავიანთი სპეციალობის მიხედვით;

— აღძრავს დადგენილი წესით და მხარს უჭერს შუამდგომლობას საპატიო წოდების მინიჭების, დაჯილდოებისა და პერსონალური პენსიების დანიშვნის შესახებ, წარადგენს კანდიდატურებს ლენინურ, სსრ კავშირსა და საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების მინიჭების შესახებ, ახორციელებს სათა-

ნადო ღონისძიებებს გამოჩენილ თეატრალურ მოღვაწეთა სახელის უკვდავსაყოფად;

— გზავნის მივლინებით პრეზიდიუმის, „მსახიობის სახლის“, „მეგობრობის თეატრის“, სამეცნიერო-შემოქმედებითი კაბინეტების შტატის მუშაკებს მოკავშირე რესპუბლიკებში, რესპუბლიკის პერიფერიის თეატრებში ორგანიზაციულ-შემოქმედებითი ღონისძიებების ჩასატარებლად, სემინარებში მონაწილეობისათვის, მოხსენებათა წასაკითხად, სპექტაკლების განსახილველად და შესაფასებლად ან სათანადო წერილობითი დასკვნა-რეცენზიების წარმოსადგენად.

III. საქართველოს თეატრალური საზოგადოების წევრობა და უფლებამოვალეობანი

4. საქართველოს თეატრალური საზოგადოების წევრებად შეიძლება იყვნენ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მცხოვრები ან დასაქმებული ყველა ჟანრის თეატრის, აგრეთვე ხელოვნების დაწესებულებათა მუშაკები, რომელთაც აქვთ თეატრის დარგში მოღვაწეობის არანაკლებ სამი წლის სტაჟი და რომლებმაც თავი გამოიჩინეს შემოქმედებითსა და საზოგადოებრივ საქმიანობაში, სახელდობრ:

მსახიობები, რეჟისორები, დრამატურგები, მხატვრები, დირიჟორები, ბალეტმაისტერები, კონცერტმაისტერები, ქორმაისტერები, კომპოზიტორები, ლიბრეტისტები და მთარგმნელები, რომლებიც თეატრებისათვის ქმნიან ნაწარმოებებს, აგრეთვე ესტრადის მსახიობები, თეატრის ტექნოლოგები და არქიტექტორები, სცენოგრაფები და მოქანდაკეები, თეატრის კრიტიკოსები, თეატრმცოდნეები, ხელოვნებათმცოდნეები, მუსიკათმცოდნეები, თეატრის ლიტერატურულ-სამუსიკო და პედაგოგიური ნაწილის მუშაკები, თეატრალური მუზეუმების მეცნიერი მუშაკები, ხელოვნების დარგის გამომცემლობათა შემოქმედებითი მუშაკები, უმაღლესი და საშუალო სასწავლებლებისა და სტუდიების მასწავლებლები, რომლებიც კადრებს ამზადებენ თეატრებისათვის, თეატრების, თეატრალური დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები, თეატრების სამხატვრო-ტექნიკური საამქროების მუშაკები, მხატვრული სიტყვის ოსტატები, სახალხო თეატრებისა და თეატრალური თვითმოქმედების ხელმძღვანელები ან მონაწილენი, რომელთაც გააჩნიათ თეატრალური განათლება, აქვთ საპატიო წოდება ან ამ დარგში მუშაობის ხუთი წლის სტაჟი.

5. საქართველოს თეატრალური საზოგადოების წევრებს აქვთ შემდეგი შეღავათები: შეიძინონ საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ტურისტული, აგრეთვე თეატრალური საზოგადოების დასასვენებელი სახლების საგზურები 70 პროცენტი ფასდაკლებით, მათი საზოგადოებრივი მუშაობის გათვალისწინებით; სამამულო ომის ვეტერან თეატრალურ მუშაკებს უფასოდ ეძლევათ საგზური საქართველოს თეატრალური საზოგადოების დასასვენებელ სახლებში; ახალგაზრდა ნიჭიერ სტუდენტებს, რომლებიც სწავლობენ ქვეყნის უმაღლეს თეატრალურ სასწავლებ-

ლებში, შეიძლება მიეცეთ მიზნობრივი სტიპენდია; თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის წევრებს ურიგდებათ საგამომცემლო განყოფილების გამოცემათა თითო ეგზემპლარი იდეურ-მხატვრული რეცენზირებისათვის, რაც წერილობით წარედგინება სარედაქციო კოლეგიას პრეზიდიუმზე განსახილველად ან წელიწადში ერთხელ საგანგებოდ მოწვეულ გამგეობის პლენუმზე გასატანად.

6. საქართველოს თეატრალური საზოგადოების წევრი ვალდებულია შეასრულოს საზოგადოების წესდება, საზოგადოების არჩევითი ორგანოების დავალებანი, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების შემოქმედებითს ცხოვრებაში, საშეფო მუშაობაში, დაიცვას საქართველოს თეატრალური საზოგადოების პატივი და ღირსება.

7. საქართველოს თეატრალური საზოგადოების წევრს უფლება აქვს აირჩიოს და არჩეულ იქნეს საქართველოს თეატრალური საზოგადოების ხელმძღვანელ და სარევიზიო ორგანოებში, მიიღოს მონაწილეობა საზოგადოების შემოქმედებითს საქმიანობაში, ისარგებლოს საზოგადოების კონსულტაციებითა და მეთოდური მასალით, საზოგადოების განკარგულებაში მყოფი კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებით, სოციალურ-საყოფაცხოვრებო დახმარებითა და შეღავათებით. საზოგადოების ხანშიშესული წევრები, რომლებსაც დამსახურება აქვთ თეატრალურ დარგში, შეიძლება ჩაირიცხონ საზოგადოების სცენის ვეტერანთა სახლში.

8. თეატრალური ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებს, ასევე პირებს, რომლებსაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით საქართველოს თეატრალური საზოგადოების წინაშე, შეიძლება მიენიჭოთ საქართველოს თეატრალური საზოგადოების საპატიო წევრის წოდება.

საპატიო წევრის წოდებას ანიჭებს საქართველოს თეატრალური საზოგადოების ყრილობა ან გამგეობის პრეზიდიუმი.

9. საქართველოს თეატრალური საზოგადოების წევრად იღებს საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმი ან საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის, აგრეთვე შესაბამისი ქალაქის თეატრალური საზოგადოებების განყოფილებათა გამგეობები და პრეზიდიუმები.

10. საზოგადოების წევრად მიღებული პირები იხდიან შესასვლელ შესატანს ერთ მანეთს, მათ ეძლევათ საქართველოს თეატრალური საზოგადოების წევრობის ბილეთი და იხდიან ერთდროულ საწევრო შესატანს შემდეგი ოდენობით წელიწადში:

100 მანეთამდე ხელფასზე — 1 მანეთსა და 20 კაპიკს;

100 მანეთიდან 150 მანეთამდე ხელფასზე — 2 მანეთს;

150 მანეთზე მეტ ხელფასზე — 4 მანეთს;

საქართველოს თეატრალური საზოგადოების არამომუშავე პენსიონერი წევრები საწევრო გადასახადს იხდიან 50 კაპიკს წელიწადში, ხოლო ის პენსიონერები, რომლებიც ხელფასსაც იღებენ — საერთო თანხიდან.

11. საქართველოს თეატრალური საზოგადოების წევრობიდან გაირიცხებიან ანტისაზოგადოებრივი საქციელისათვის, თეატრალური საზოგადოების

წესდების არაერთგზის დარღვევისათვის, ორი წლის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით საწევრო შესატანის გადაუხდელობისათვის.

საზოგადოებიდან გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმი იმ წევრის თანდასწრებით, რომლის საკითხიც განიხილება. გადაწყვეტილება გარიცხვის შესახებ შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს საზოგადოების გამგეობაში და ყრილობაზე. საჩივარი არასწორი გარიცხვის შესახებ უნდა განიხილოს საზოგადოების გამგეობის მორიგმა პლენუმმა ან საქართველოს თეატრალური საზოგადოების მორიგმა ყრილობამ.

IV. საქართველოს თეატრალური საზოგადოების ორგანიზაციული სტრუქტურა

12. საქართველოს თეატრალური საზოგადოების უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა ყრილობა, რომელსაც იწვევენ ხუთ წელიწადში ერთხელ ან — რიგგარეშე.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების ყრილობა:

— განიხილავს ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარების ძირითად პრობლემებსა და თეატრალური საზოგადოების საქმიანობის მიმართულებას;

— შეაქვს თეატრალური საზოგადოების სახელით წინადადებანი ზემდგომ ორგანოებში თეატრალური საქმიანობის გასაუმჯობესებლად;

— მიიღებს საზოგადოების წესდებას და შეაქვს მასში ცვლილებანი ან დამატებანი მოქმედი კანონმდებლობის ზუსტი დაცვით;

— ღია კენჭისყრით ირჩევს საზოგადოების გამგეობას, სარევიზიო კომისიას, ისმენს და ამტკიცებს გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ანგარიშებს;

ირჩევს საზოგადოების საპატიო წევრებს.

13. გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრები, რომლებიც არ არიან არჩეულნი ყრილობის დელეგატებად, ყრილობის მუშაობაში მონაწილეობენ სათათბირო ხმის უფლებით.

14. ყრილობათა შორის პერიოდში საზოგადოებას ხელმძღვანელობს საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობა, რომლის პლენუმი მოწვეულ უნდა იქნეს წელიწადში ერთხელ მაინც ან უფრო მეტჯერ საგანგებო გარემოებათა გამო.

15. საქართველოს თეატრალური საზოგადოების რიგგარეშე ყრილობა შეიძლება მოწვეულ იქნეს საზოგადოების გამგეობის გადაწყვეტილებით ან საზოგადოების წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნით.

16. საქართველოს სსრ ავტონომიურ რესპუბლიკებში, ავტონომიურ ოლქსა და დიდ ქალაქებში საქართველოს თეატრალური საზოგადოების არანაკლებ 20 წევრის არსებობისას იხსნება საქართველოს თეატრალური საზოგადოების ადგილობრივი განყოფილებანი საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით.

V. საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობა

17. საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობა:

— განიხილავს ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების ძირითად პრობლემებსა და საზოგადოების საქმიანობის მიმართულებას;

— შეაქვს შემდგომ ორგანოებში თეატრალური საზოგადოების სახელით წინადადებანი თეატრალური საქმიანობის გასაუმჯობესებლად;

— განსაზღვრავს გამგეობის პრეზიდიუმის რაოდენობრივ შემადგენლობას და პერსონალურად ირჩევს ღია კენჭისყრით პრეზიდიუმის შემადგენლობას, თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეებსა და პასუხისმგებელ მდივანს;

— ისმენს და ამტკიცებს გამგეობის პრეზიდიუმის გეგმებსა და საანგარიშო მოხსენებებს;

— განსაზღვრავს საქართველოს თეატრალური საზოგადოების მორიგი ყრილობის წარმომადგენლობის ნორმებს.

18. გამგეობა საზოგადოების წევრებთან კავშირს თეატრებში ახორციელებს რწმუნებულთა მეშვეობით, რომლებსაც თეატრებში ირჩევენ საზოგადოების წევრთა ღია კრებებზე ორი წლის ვადით.

VI. საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმი

19. საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმი:

— წარმართავს საზოგადოების მუშაობას წესდების, აგრეთვე ყრილობისა და გამგეობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად;

— აწყობს რესპუბლიკაში და რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ შემოქმედებითს საღამოებს, იუბილეებს სათანადო ხარჯთაღრიცხვის დამტკიცებით, შემოქმედებითი საღამოს ავტორის, იუბილარისა და სპეციალური ჯგუფის მისავლინებლად, აგრეთვე სპექტაკლებზე, შემოქმედებით საღამოებზე, იუბილეებზე ცალკეული პირების ან ჯგუფის დასასწრებლად.

— გამოყოფს საკუთარი სახსრებიდან სათანადო თანხებს და ხარჯავს მათ დადგენილი ნორმების მიხედვით;

— მართავს საშეფო კონცერტებს, „მეგობრობის თეატრის“ მიერ მოწვეული თეატრების სპექტაკლებს, შეფობას უწევს რაიონებს, შრომითს კოლექტივებსა და ჯარის ნაწილებს რესპუბლიკაში და რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ;

— შეაქვს თეატრალური საზოგადოების სახელით წინადადებანი ზემდგომ ორგანოებში თეატრალური საქმიანობის გასაუმჯობესებლად;

— ხელმძღვანელობს საზოგადოების ცენტრალურ აპარატს, „მსახიობის სახლს“, „მეგობრობის თეატრს“, რომლებიც სტრუქტურულად შედიან საზოგადოების პრეზიდიუმში, არ არიან დამოუკიდებელი იურიდიული ორგანიზაციები და სარგებლობენ სუბანგარიშის უფლებით; წარმართავს საზოგადოების ყველა დაწესებულებისა და საწარმოს იდეურ-შემოქმედებითს, სოციალურ-საყოფაცხოვრებო, ორგანიზაციულ და ფინანსურ საქმიანობას;

— ქმნის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საზოგადოებრივ კომისიებს, შემოქმედებით და მეთოდურ საბჭოებს, განყოფილებებს, შემოქმედე-

ბითს კაბინეტებს, სამხატვრო საბჭოებს, სარედაქციო საბჭოს საზოგადოებრივი რეკომენდატორის მოვალეობით, სარედაქციო კოლეგიას ადმინისტრაციულ-საშემსრულებლო ფუნქციით, ყოველთვიურ ან ორთვიურ ორგანოს — „თეატრალური მოამბის“ სარედაქციო კოლეგიას, ერთდროული გაზეთის სარედაქციო კოლეგიას, ამტკიცებს დებულებებს მათ შესახებ;

— პრეზიდიუმს უფლება აქვს აღძრას შუამდგომლობა დადგენილი წესის შესაბამისად შემოქმედებითი კაბინეტების შექმნის შესახებ;

— ამუშავებს და ამტკიცებს საზოგადოების ბიუჯეტს; ამტკიცებს საზოგადოების დაწესებულებათა და საწარმოთა გეგმებს, ხარჯთაღრიცხვებსა და ანგარიშებს, პრეზიდიუმისადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ხელმძღვანელობის ნომენკლატურას;

— აწარმოებს აღრიცხვას და ადგენს პერიოდულ და წლიურ ანგარიშგებას მოქმედი კანონმდებლობისა და ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე;

— აღძრავს დადგენილი წესის მიხედვით შუამდგომლობას პერსონალური ხელფასის წანამატების შესახებ, აჯილდოებს საქართველოს თეატრალური საზოგადოების დიპლომებითა და საპატიო სიგელებით, დადგენილი წესის მიხედვით გასცემს პრემიებს;

— იცავს საზოგადოების ინტერესებს სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა, წარმოებათა და ორგანიზაციათა წინაშე; წარმომადგენლობს სასამართლოებსა და სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებში საქართველოს თეატრალური საზოგადოების საქმეებზე;

— ფართოდ იყენებს თავის საქმიანობაში საზოგადოებრივ აქტივს;

— იღებს გადაწყვეტილებებს კოლეგიურად, ღია კენჭისყრით, ხმის უმრავლესობით, სხდომის კვორუმად მიიჩნევს პრეზიდიუმის შემადგენლობის 50 პროცენტს საპატიო მიზეზით დაუსწრებელთა ჩაუთვლელად.

VII. საქართველოს თეატრალური საზოგადოების სარევიზიო კომისია

20. საქართველოს თეატრალური საზოგადოების საკონტროლო ორგანოა სარევიზიო კომისია.

სარევიზიო კომისია:

— ირჩევს თავის შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით თავმჯდომარესა და მდივანს, კონტროლს უწევს როგორ ასრულებენ გამგეობა და პრეზიდიუმი საქართველოს თეატრალური საზოგადოების წესდებას, ყრილობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებსა და სამუშაო გეგმებს; არკვევს და დოკუმენტურ რევიზიას უკეთებს საქართველოს თეატრალური საზოგადოების, მისი საწარმოებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა სამეურნეო-საფინანსო საქმიანობასა და მატერიალურ ფასეულობათა მდგომარეობას;

— წარმოადგენს გამგეობისაგან დამოუკიდებელ საკონტროლო ორგანოს, თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიშს აბარებს საქართველოს თეატრალური საზოგადოების ყრილობას. მას უფლება აქვს მოსთხოვოს გამგეობას, პრეზიდიუმს, ასევე მათ ცალკეულ წევრებს, საზოგადოების საწარმოთა და და-

წესებულებათა ხელმძღვანელებს ყველა დოკუმენტი და მასალა, აგრეთვე ახსნა-განმარტება, მიიღოს მონაწილეობა პრეზიდიუმის სხდომებში სათათბირო ხმის უფლებით;

— გადასცემს დასკვნას თითოეული რევიზიის შესახებ საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმს, რომელიც განიხილავს მას პრეზიდიუმის მორიგ სხდომაზე. პრეზიდიუმსა და სარევიზიო კომისიას შორის უთანხმოების შემთხვევაში სადავო საკითხები გამგეობას გააქვს თავის მორიგ პლენუმზე ან საზოგადოების მორიგ ყრილობაზე. სარევიზიო კომისიას შეუძლია მოიწვიოს დადგენილი წესის მიხედვით სპეციალისტები ცალკეული რევიზიების ჩასატარებლად.

VIII. საქართველოს თეატრალური საზოგადოების სახსრები

21. საქართველოს თეატრალური საზოგადოების სახსრებს შეადგენს:

— შესასვლელი და საწევრო შესატანები;

— შემოსავალი, რომელიც მიღებულია თეატრალურ საზოგადოების დაქვემდებარებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობიდან, აგრეთვე კუთვნილი ქონებიდან;

— თეატრალური საზოგადოების საწარმოთა გადასახადით დაბეგვრისათვის მთავრობის მიერ დაწესებული შეღავათებით მიღებული თანხები;

— სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ასიგნებანი.

22. საქართველოს თეატრალური საზოგადოება სათანადო ფონდებს ქმნის და იყენებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

23. საქართველოს თეატრალური საზოგადოების საწესდებო ფონდი იქმნება საზოგადოების წევრთა შესასვლელი და საწევრო შესატანისაგან, საზოგადოების საწარმოთა მოგებიდან დადგენილი წესის მიხედვით ყოველწლიური ანარიცხებისაგან და რეალიზებული პროდუქციის წლიური საგეგმო თვითღირებულების ათპროცენტიანი შემოსავლისაგან, რომელიც იხარჯება პრეზიდიუმის ცენტრალური აპარატის, გამომცემლობების, შემოქმედებითი კაბინეტებისა და მათი ღონისძიებების დასაფინანსებლად.

24. საზოგადოების საწარმოთა გადასახადით დაბეგვრისათვის მთავრობის მიერ დაწესებული შეღავათებით მიღებულ სახსრებსა და სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ასიგნებებს პრეზიდიუმი ძირითადად იყენებს პერიფერიული თეატრების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად, აგრეთვე შემოქმედებითი საღამოების, იუბილეების, მოკავშირე რესპუბლიკების სათეატრო ღონისძიებებზე მივლინებული წარმომადგენლების მიერ ფასიანი საჩუქრების გასაცემად, კონცერტებისა და სხვა სანახაობრივი პროგრამებისათვის საზღვარგარეთიდან და მოკავშირე რესპუბლიკებიდან მოწვეული ან მივლინებული პირების მისაღებად და ფასიანი საჩუქრებისათვის.

სახსრების ხარჯვა ხდება დადგენილი წესებისა და ნორმების დაცვით.

IX. საქართველოს თეატრალური საზოგადოების იურიდიული უფლებანი

25. საქართველოს თეატრალური საზოგადოება სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით. ამ წესდებით დასახული ამოცანების განსახორციელებლად საზოგადოებას უფლება აქვს შეიძინოს ქონება და ფლობდეს მას, დადოს ხელშეკრულებანი სსრ კავშირის ტერიტორიაზე მოქმედ ორგანიზაციებთან. ისარგებლოს კრედიტით, გახსნას ბანკებში მიმდინარე და ანგარიშსწორების ანგარიშები, აღძრას სარჩელი და აგოს პასუხი მის წინააღმდეგ აღძრულ სარჩელზე სასამართლოსა და სახელმწიფო არბიტრაჟში და სხვ.

26. საქართველოს თეატრალურ საზოგადოებას აქვს მრგვალი ბეჭედი და შტამპი წარწერით — „საქართველოს თეატრალური საზოგადოება“.

27. საქართველოს თეატრალური საზოგადოების საქმიანობა შეიძლება შეწყდეს საზოგადოების მორიგი ან საგანგებო ყრილობის გადაწყვეტილებით აგრეთვე მთავრობის დადგენილებით.

28. საზოგადოების ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი მთელი სახსრები და ქონება გადაეცემა ლიკვიდაციის შესახებ გამოტანილ სათანადო დადგენილებაში მითითებულ სახელმწიფო ორგანოებს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

---

26 გამოჩენილი ქართველი მწერლის ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის პრემიის დაწესების შესახებ

ნიკო ლორთქიფანიძის დაბადების 100 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაწესდეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიისა და ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტებზე ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის ორი პრემია ყოველ ორ წელიწადში ერთხელ 500-500 მანეთის ოდენობით თანამედროვე ქართული პროზის საკითხებზე საუკეთესო სამეცნიერო-კვლევითი ნაშუშევრებისათვის.

აღნიშნული პრემიები გაიცეს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსათვის ამ მიზნით ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებებიდან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 18 მარტი, № 138.

27 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 24 დეკემბრის № 1116 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში ცვლილებათა შეტანის შესახებ

„სასწავლებლებში სწავლასთან მუშაობის შემთავსებელ მუშა-მოსამსახურეთა შეღავათების თაობაზე დებულების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 24 დეკემბრის № 1116 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შეტანილ იქნეს „ყრუ მოქალაქეთა საერთო და პროფესიული განათლების, შრომითი მოწყობისა და მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 31 ოქტომბრის № 753 დადგენილებაში ცვლილება და მე-6 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) საღამოს (ცვლის) პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთა და დღის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებთან არსებულ საღამოს (ცვლის) განყოფილებათა (ჯგუფების) ყრუ მოსწავლეებს მიეცემათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 24 დეკემბრის № 1116 დადგენილებით დამტკიცებული სასწავლებლებში სწავლასთან მუშაობის შემთავსებელ მუშა-მოსამსახურეთა შეღავათების თაობაზე დებულების მე-7, მე-9, მე-10 და მე-11 პუნქტებით გათვალისწინებული შეღავათები“.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— მე-7 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 5 სექტემბრის № 1187 დადგენილებისა „მუშა ახალგაზრდობის სკოლების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ მუშა ახალგაზრდობის სკოლების მოსწავლეთათვის დაწესებული შეღავათების ნაწილში;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1959 წლის 19 დეკემბრის № 976 დადგენილება „იმ პირთათვის შემცირებული სამუშაო დღის ან შემცირებული სამუშაო კვირის დაწესების შესახებ, რომლებიც წარმატებით სწავლობენ წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში — საღამოს (ცვლის, სეზონურ) და დაუსწრებელ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 22 დეკემბრის № 687 დადგენილება „იმ პირთათვის შეღავათების მინიჭების წესის შეცვლის შესახებ, რომლებიც წარმოებას მოუწყვეტლივ სწავლობენ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებსა და დაუსწრებელ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში“.

3. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 24 დეკემბრის № 1116 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა:

— მე-7 პუნქტის პირველი აბზაცი, მე-9 და მე-10 პუნქტები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 9 აპრილის № 285 დადგენილებისა „უმაღლესი და საშუალო სპეციალური დაუსწრებელი და საღამოს განათლების შემ-

დგომი გაუმჯობესების შესახებ“ რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 26 ივნისის № 379 დადგენილებით;

— მე-13 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 7 ოქტომბრის № 900 დადგენილებისა „სახლ-ინტერნატებში მცხოვრებ ღრმა მოხუცთა და ინვალიდთა მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 8 ივნისის № 378 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 18 მარტი, № 139.

28 საქართველოს სსრ მცირე მდინარეების წყალდაცვითი ზოლების (ზონების) დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მცირე მდინარეების დაცვის, მათი წყლის რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და წყალდაცვითი ზოლების (ზონების) დაწესების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 29 დეკემბრის № 922 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის მიერ მომზადებული და დაინტერესებულ სამინისტრო-უწყებებთან შეთანხმებული დებულება „საქართველოს სსრ მცირე მდინარეების წყალდაცვითი ზოლების (ზონების) შესახებ“.

2. საქართველოს სსრ სამინისტროებმა, უწყებებმა, სახელმწიფო, კოოპერაციულმა, საზოგადოებრივმა საწარმოებმა, დაწესებულებებმა, ორგანიზაციებმა და მოქალაქეებმა მტკიცედ დაიცვან დებულებით გათვალისწინებული წესები და მოთხოვნები.

3. სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიურმა სამსახურებმა, საქართველოს სსრ ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკურმა სამმართველომ და „საქშავზღვათევზმშენის“ სამმართველოს ორგანოებმა დააწესონ კონტროლი

„საქართველოს სსრ მცირე მდინარეთა წყალდაცვითი ზოლების (ზონების) შესახებ“ დებულების განუხრელად განხორციელებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 22 მარტი, № 158.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1983 წლის 22 მარტის № 158 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მცირე მდინარეების წყალდაცვითი ზოლების (ზონების) შესახებ

1. წყალდაცვით ზოლად (ზონად) ითვლება მდინარის აკვატორიის მიმდებარე ტერიტორია, რომელშიც მყარდება სპეციალური რეჟიმი წყლის ობიექტის დასაცავად გაბინძურებისაგან, დანაგვიანებისაგან, მოლამვისაგან და წყლის მთლიანად დაშრეტისაგან.

2. მცირე მდინარეთა სისუფთავის აღსადგენად და გაჭუჭყიანებისაგან დასაცავად გამოიყოფა მცირე მდინარეთა წყალდაცვითი ზოლები (ზონები).

3. წყალდაცვითს ზოლში (ზონაში) შეიძლება შეტანილ იქნეს მდინარის კალაპოტი, კალაპოტის მიმდებარე ტერასები, შემაღლებული და ციცაბო ფერდობიანი ბუნებრივი ნაპირები, აგრეთვე ხევები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებიან მდინარეთა ნაპირებს.

4. მცირე მდინარეების წყალდაცვითი ზონის მინიმალური სიგანე დგინდება მდინარის იმ სანაპირო ზოლიდან, რომელიც შეესაბამება ზაფხულის პერიოდში წყლის მრავალწლიან საშუალო დონეს:

50 კილომეტრამდე სიგრძის მდინარისათვის — 20 მეტრი

100 კილომეტრამდე სიგრძის მდინარისათვის — 30 მეტრი.

100 კილომეტრზე მეტი სიგრძის მდინარისათვის — 50 მეტრი

5. მცირე მდინარეთა ნაპირებზე წყალდაცვითი ზოლის (ზონის) ფარგლებში აკრძალულია:

— მშენებლობა ახლის და გაფართოება მოქმედი საწარმოებისა, გარდა ობიექტებისა, რომელთა მშენებლობა, როგორც გამონაკლისი, მიმდინარეობს საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტთან, სახელმწიფო

სანიტარიული ზედამხედველობის ორგანოებთან შეთანხმებით და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად;

— მრავალწლოვანი ნარგავების, ნათესი კულტურებისა და ტყის სავარგულების შეწამვლა შხამქიმიკატებით საჰაერო დაფრქვევის გზით;

— შხამქიმიკატებისა და მინერალური სასუქების, აგრეთვე სხვადასხვა სახის საყოფაცხოვრებო, სამეურნეო და სამრეწველო ნარჩენების შენახვა-დაგროვება, დასაწყობება ან დამარხვა;

— ქიმიური და ბიოლოგიური პრეპარატების გამოყენება თევზსამეურნეო წყალსატევებისათვის დადგენილი ნორმების გადამეტებით;

— აფეთქებითი სამუშაოების წარმოება მდინარის კალაპოტში გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც განსაკუთრებულ ღონისძიებებთან არის დაკავშირებული და არის საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თანხმობა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება;

— ინერტული მასალების მოპოვება და სხვა წიაღისეულის დამუშავება სათანადო სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოების ნებართვის გარეშე.

6. მცირე მდინარეების წყალდაცვითს ზონაში განლაგებული ჰიდროტექნიკური ნაგებობანი, როგორც წესი, უნდა აღიჭურვოს სათანადო ტექნიკური საშუალებებით, რათა მთლიანად გამოირიცხოს მდინარის გაბინძურება-დანაგვიანების შესაძლებლობა ნაგებობიდან.

7. ქალაქებში, დაბებსა და სოფლის ტიპის დასახლებულ პუნქტებში მცირე მდინარეთა წყალდაცვითი ზონა უნდა მოეწყოს გენერალური გეგმების შესაბამისად, რომლებშიც გადაწყვეტილია ბუნების დაცვის ყველა საინჟინრო, სანიტარიული და ჰიგიენური საკითხი.

8. მცირე მდინარეთა წყალდაცვითს ზონაში მდებარე დაბებში, სოფლის ტიპის დასახლებულ პუნქტებში აღებულ უნდა იქნეს მოსახლეობის მიერ ჩადგმული და მოწყობილი ყოველგვარი სათავსო, რომლისგანაც შეიძლება გაბინძურდეს მდინარე.

9. მცირე მდინარეებისა და მათი შენაკადების ჯეროვანი სანიტარიული მდგომარეობის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად ჩამდინარე წყლებისა და თვით მდინარის გაბინძურების ხარისხზე სისტემატურ ლაბორატორიულ დაკვირვებას, აგრეთვე სათანადო ღონისძიებებს ახორციელებენ: საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკური სამმართველოს, საქართველოს შავი ზღვის აუზის თევზის მარაგის დაცვის, კვლავწარმოებისა და თევზჭერის რეგულირების სამმართველოს ორგანოები.

10. იმ პირებს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით წყალდაცვითი ზონების ტერიტორიებისა და მცირე მდინარეთა სანაპირო ზოლების (ზონების) გამოყენების რეჟიმის დარღვევაში, ეკისრებათ პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

29 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 17 დეკემბრის №842 დადგენილებაში ნაწილობრივ ცვლილებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მავნებელ მტაცებელ ნადირთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 17 დეკემბრის № 842 დადგენილების პირველ აბზაცში სიტყვა „მოსასპობად“ შეიცვალოს სიტყვით „რეგულირებისათვის“.

2. აღნიშნული დადგენილების 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დაწესდეს 1982 წლის 20 დეკემბრიდან მოპოვებულ მავნებელ მტაცებელ ნადირზე შემდეგი ტყავცალობითი პრემიები, მიუხედავად მათი სქესისა და ასაკისა: მგელზე — 100 მანეთი, გარეულ კატაზე — 10 მანეთი, მელიაზე — 10 მანეთი.

მელიისა და გარეული კატის მოკვლისა და დაჭერის უფლება მიეცეთ მხოლოდ სამონადირეო მეურნეობებში, დანარჩენ ტერიტორიაზე კი — სახელმწიფო სამონადირეო ზედამხედველობის ორგანოთა სპეციალური ნებართვით“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჟართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 24 მარტი, № 163.

30 საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 14 აგვისტოს № 490 დადგენილებით დამტკიცებული დებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჟართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წლის 29 მარტი, № 188.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1983 წლის 29 მარტის № 188 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის შესახებ

1. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი არის საკავშირო-რესპუბლიკური ორგანო, რომელიც ახორციელებს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო დაგეგმვას.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, როგორც დაგეგმვის დარგში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური ორგანოს, მთავარი ამოცანაა მოამზადოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საქართველოს კომპარტიის ყრილობების გადაწყვეტილებათა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის დადგენილებათა და მეთოდურ მითითებათა შესაბამისად საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების პროექტები და წარუდგინოს ისინი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აგრეთვე კონტროლი გაუწიოს ამ გეგმების შესრულებას.

საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმები უნდა ემყარებოდეს სოციალიზმის ეკონომიკურ კანონთა მოთხოვნებს, კომუნისტური მშენებლობის ეკონომიკურ და სოციალურ პროცესთა ღრმა ანალიზს, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე მიღწევებსა და პერსპექტივებს, და ითვალისწინებდეს სახალხო მეურნეობის დინამიკურ, გეგმაზომიერ და პროპორციულ განვითარებას, შრომის ნაყოფიერების ზრდასა და რესპუბლიკის საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, საბჭოთა ხალხის მზარდ მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების მიზნით.

სახელმწიფო გეგმებში გათვალისწინებულია მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევის ყველაზე ეფექტიანი გზები, დიდი სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტა, დარგობრივი და ტერიტორიული განვითარების სწორი შეხამება, მიზნობრივი კომპლექსური სამეცნიერო-ტექნიკური, ეკონომიკური და სოციალური პროგრამების, აგრეთვე ცალკეული რეგიონების განვითარების პროგრამების რეალიზაცია. ამასთან უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ცენტრალიზებული დაგეგმვის შეხამება გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა სამეურნეო დამოუკიდებლობასთან, შრომითი კოლექტივების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ინიციატივასა და შემოქმედებითს აქტიურობასთან.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებებით, საქართველოს სსრ კანონებით და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის დადგენილებებით, საინსტრუქციო მითითებებითა და ბრძანებებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით, სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი კოორდინაციას უწევს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების და აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების საქმიანობას ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაგეგმვის დარგში, აგრეთვე ახორციელებს მეთოდიკურ ხელმძღვანელობასა და გამოცდილების გაზიარებას ამ დარგში, უზრუნველყოფს გეგმების მომზადებისა და მათი შესრულებისადმი კონტროლის განხორციელების დროს ურთიერთმოქმედებას საქართველოს სსრ სახმომარაგებასთან, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან, საქართველოს სსრ სახმშენთან, საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტთან, საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკურ სამმართველოსთან, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტთან და სხვა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან.

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი პასუხისმგებელია სახელმწიფო დაგეგმვის მეცნიერული დონის ამაღლების, მისი მეთოდების სრულყოფისა და ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის, რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების მოსამზადებელი პროექტების ყოველმხრივი დასაბუთებულობისა და შეწონასწორებულობისათვის, ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, რაიონებისა და ქალაქების მიხედვით საწარმოო ძალთა სწორი განლაგებისათვის, სახალხო მეურნეობაში „ვიწრო“ ადგილების თავიდან აცილებისათვის, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ასამაღლებლად არსებული რეზერვების მაქსიმალური გამოყენებისათვის.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში უფლებამოსილია მიიღოს ყოველგვარი საჭირო ზომები სახელმწიფო გეგმებისა და მიზნობრივი კომპლექსური პროგრამების ხარისხიანი და დროული შემუშავების და მათი შესრულების უზრუნველსაყოფად.

ახორციელებს რა მისთვის დაკისრებულ ფუნქციებს, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გადაჭრით უნდა გაილაშქროს უწყებრიობისა და კუთხურობის წინააღმდეგ.

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების პროექტებში უნდა გაითვალისწინოს;

ა) საქართველოს სსრ ეროვნული შემოსავლის მყარი გადიდება, სახალხო მეურნეობისა და მრეწველობის დარგთა დინამიკური და პროპორციული განვითარება რესპუბლიკის ბუნებრივი და ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით, წარმოების შედეგებისა და შრომის ნაყოფიერების უპირატესი ზრდა მატერიალურ და სხვა დანახარჯებთან შედარებით;

ბ) დარგებისა და რესპუბლიკის ცალკეული რაიონების განვითარების პრიორიტეტის სწორი განსაზღვრა, საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურის გაუმჯობესება, გეგმის ყველა განაყოფის დაკავშირება, საჭირო მატერიალური, ფინანსური და სხვა რეზერვები;

გ) საჭირო ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ ეფექტიანი დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელებას, ადამიანთა სიცოცხლის ხანგრძლივობისა და შრომითი აქტიურობის გადიდებას, მათი ჯანმრთელობის განმტკიცებას;

დ) მეცნიერებისა და ტექნიკის ყოველმხრივი განვითარება, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ეფექტიანი გამოყენება სახალხო მეურნეობაში, მეცნიერულ-ტექნიკური აღმოჩენებისა და ნამუშევრების რეალიზაციის დაჩქარება, წარმოების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის ამაღლება;

ე) სამეცნიერო-ტექნიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კომპლექსური გადაჭრა, ძალებისა და რესურსების კონცენტრაცია უმნიშვნელოვანესი მიზნობრივი კომპლექსური პროგრამების შესრულებაზე;

ვ) საწარმოო ძალთა რაციონალური განლაგება რესპუბლიკის ტერიტორიაზე შრომის საერთო-საკავშირო დანაწილებაში მიზანშეწონილი სპეციალიზაციისა და ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მეურნეობის კომპლექსური განვითარების გათვალისწინებით, სარესპუბლიკათაშორისო, შინარესპუბლიკური და სადარგთაშორისო კავშირურთიერთობის სრულყოფა;

ზ) სატრანსპორტო ქსელის შემდგომი განვითარება სატრანსპორტო კავშირის რაციონალიზაციის საფუძველზე;

თ) ძირითადი ფონდებისა და საწარმოო სიმძლავრეების ეფექტიანი გამოყენება, ეკონომიის რეჟიმის გაძლიერება, მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენება და დანაკარგების აღმოფხვრა რესპბულიკის სახალხო მეურნეობაში. თანმხლები და თანმდევი პროდუქტების, მეორეული მატერიალური და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მოქცევა სამეურნეო ბრუნვაში;

ი) კაპიტალურ დაბანდებათა რაციონალური გამოყენება, მათი ეფექტიანობის ამაღლება, მშენებლობის ღირებულების შემცირება და ხარისხის გაუმჯობესება, ძირითადი ფონდებისა და საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედების დაჩქარება და მათი ათვისება უმოკლეს ვადებში;

კ) წარმოების რენტაბელობის ამაღლება, პროდუქციის თვითღირებულებისა და მიმოქცევის ხარჯების შემცირება, მოგების გადიდება, ფინანსური რესურსების გამოყენების გაუმჯობესება;

ლ) შრომის ნაყოფიერების ზრდა, შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენება, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის უზრუნველყოფა კვალიფიციური კადრებით;

მ) ბუნებრივ სიმდიდრეთა რაციონალური გამოყენებისა და კვლავწარმოების და გარემოს დაცვის ღონისძიებათა განხორციელება;

ნ) მოსახლეობის რეალური შემოსავლის განუხრელი ზრდა, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდება, მისი ხარისხის ამაღლება და ასორტიმენტის გაფართოება, შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, მოსახლეობის მომსახურების სფეროს დარგების განვითარება;

ო) ეკონომიკური კავშირურთიერთობის შემდგომი განვითარება და გაღრმავება სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან, საერთაშორისო ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის გაფართოება, საგარეო ვაჭრობისა და სხვაგვარი საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება;

პ) საჭირო სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დაგროვება;

ჟ) ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების ღონისძიებანი.

7. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს ეკისრება:

ა) მოამზადოს საქართველოს სსრ სამინისტროებთან და უწყებებთან, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად, რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების საქვეუწყებო მეურნეობის განვითარების შესახებ მათი წინადადებების გათვალისწინებით, საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხანგრძლივი პერიოდის ძირითადი მიმართულებების, რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური ვანვითარების დარგობრივი და ტერიტორიული პერსპექტიული და მიმდინარე სახელმწიფო გეგმების პროექტები;

ბ) ორგანიზაცია გაუწიოს საწარმოო ძალთა განვითარებისა და განლაგების სქემების შემუშავებას;

გ) ორგანიზაცია გაუწიოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან, საქართველოს სსრ სახმშენთან, საქართველოს სსრ დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, საქართველოს სსრ ქალაქე-

ბისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან ერთად რესპუბლიკური მიზნობრივი კომპლექსური სამეცნიერო-ტექნიკური, ეკონომიკური და სოციალური პროგრამების, აგრეთვე რესპუბლიკის ცალკეული რეგიონების განვითარების პროგრამების შემუშავებას;

დ) განსაზღვროს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების მიერ პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების, აგრეთვე მიზნობრივი კომპლექსური სახალხო-სამეურნეო პროგრამების პროექტების მომზადებისა და წარდგენის წესი და ვადები საქართველოს სსრ მთავრობაში ან გეგმებისა და პროგრამების პროექტების წარდგენის დაწესებული ვადების შესაბამისად;

ე) შეიმუშაოს დაგეგმვის მეცნიერული ბაზა, რესპუბლიკური გეგმების შედგენისათვის საჭირო მეთოდიკური მითითებანი, მაჩვენებლები და ფორმები;

ვ) შეიმუშაოს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების შემადგენლობაში კრებსითი განაყოფები სოციალური განვითარების დარგში ღონისძიებათა მთელი კომპლექსის მიხედვით;

ზ) შეიმუშაოს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების წინადადებათა საფუძველზე ძირითად სახეობათა მატერიალური, ფინანსური და შრომითი რესურსების ბალანსები, რომლებიც უზრუნველყოფენ რესპუბლიკის ეკონომიკის მყარ და პროპორციულ განვითარებას;

თ) განახორციელოს რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა მუშაობის კოორდინაცია საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების პროექტების შესამუშავებლად პროგრესული ტექნიკურ-ეკონომიკური ნორმებისა და ნორმატივების ერთიანი სისტემის შექმნისა და დანერგვისათვის, აგრეთვე მეთოდიკური ხელმძღვანელობა გაუწიოს ამ მუშაობას, განსაზღვროს ნორმებისა და ნორმატივების მომზადების, განხილვის, დამტკიცებისა და გამოყენების წესი;

ი) შეიმუშაოს საქართველოს სსრ სამინისტროებთან და უწყებებთან, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან ერთად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მონაწილეობით მართვის ფორმებისა და მეთოდების, სამეურნეო მექანიზმის, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების დაგეგმვის და წარმოების ეკონომიკური სტიმულირების შემდგომი სრულყოფის ღონისძიებანი;

კ) მოამზადოს და წარადგინოს დასკვნები საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის, რესპუბლიკის საკრედიტო და საკასო გეგმების პროექტების გამო;

ლ) მოამზადოს დადგენილი წესით წინადადებანი საგარეო ეკონომიკური კავშირურთიერთობის განვითარების, სახელმწიფოთაშორისო წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების გაუმჯობესების, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი სხვა ქვეყნების სახალხო-სამეურნეო გეგმებთან სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების კოორდინაციის შესახებ;

მ) მოამზადოს დადგენილი წესით წინადადებანი საქონლის ექსპორტის გეგმის პროექტის გამო და საექსპორტო საქონლის წარმოების გადიდების შესაძლებლობის შესახებ, აგრეთვე საბჭოთა კავშირის ტექნიკური ხელშეწყობით საზღვარგარეთ მშენებარე ობიექტებისათვის მოწყობილობისა და მასალების მიწოდების გეგმების პროექტის გამო;

ნ) მოამზადოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად საგალუტო გეგმის პროექტისათვის გაანგარიშებანი, რომელთაც წარადგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო დადგენილი წესით;

ო) ორგანიზაცია გაუწიოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად მეცნიერულ გამოკვლევებს ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებზე;

პ) დანერგოს და განავითაროს საგეგმო გაანგარიშებათა ავტომატიზებული სისტემა, კოორდინაცია გაუწიოს საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა მუშაობას საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის საგეგმო გაანგარიშებათა ავტომატიზებულ სისტემასთან მართვის დარგობრივი და საუწყებო ავტომატიზებული სისტემების ურთიერთმოქმედების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე განახორციელოს ამ მუშაობისადმი ორგანიზაციულ-მეთოდიკური ხელმძღვანელობა;

ჟ) შეისწავლოს და განაზოგადოს მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის ეკონომიკური პრობლემები, ცალკეული სოციალისტური ქვეყნების გამოცდილება სახალხო მეურნეობის დაგეგმვასა და მართვაში და მოამზადოს წინადადებანი ამ გამოცდილების გამოყენების შესახებ;

რ) განახორციელოს დადგენილი წესით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კავშირურთიერთობა სოციალისტური, განვითარებადი და სხვა საზღვარგარეთული ქვეყნების დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან.

8. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი:

ა) შეიმუშავებს საქართველოს სსრ რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით და წარუდგენს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამრეწველო პროდუქციის წარმოების წლიურ გეგმებს ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული ნომენკლატურის მიხედვით ღირებულებითი და ნატურალური გამოხატულებით კვარტალობრივი განაწილებით, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ დასაგეგმი ნომენკლატურის მიხედვით მატერიალური რესურსების განაწილების ბალანსებსა და გეგმებს, უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის გამოშვების საწარმოო სიმძლავრეთა ბალანსებს;

ბ) შეიმუშავებს კავშირგაბმულობის, საავტომობილო გზებისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი საჰაერო ხაზებისა და ახალ პროგრესულ სახეობათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსპორტის განვითარების გეგმათა პროექტებს ტრანსპორტის დანარჩენ სახეობათა განვითარებასთან კომპლექსური შეხამებით;

გ) მოამზადებს წინადადებებს და შეიმუშავებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციით და სადარგთაშორისო დანიშნულების მომსახურებით უზრუნველყოფის გეგმათა პროექტებს;

დ) შეიმუშავებს და წარუდგენს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალური რესურსების ხარჯვის ნორმების, ნაკეთობებისა და სამუშაოთა სახეობებისათვის მასალების ხარჯვის ნორმების საშუალო შემცირების დავალებებს, განსაზღვრავს სათბობის სახეობებს ახლად მშენებარე, გასაფართოებელი და სარეკონსტრუქციო საწარმოებისათვის, განსაზღვრავს საქართველოს სსრ სახმომარაგების მონაწილეობით შესაბამის სახეობათა ადგილობრივი ნედლეულისა და მეორეული რესურსების გამოყენების მოცულობას საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ დასაგეგმი ნომენკლატურის მიხედვით მატერიალური რესურსების განაწილების ბალანსებისა და გეგმების დამტკიცების დროს;

ე) შეიმუშავებს და დაამტკიცებს:

— საიჯარო სამუშაოთა მოცულობას და სასაქონლო სამშენებლო პროდუქციის მოცულობას, სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების საწარმოო სიმძლავრეთა ბალანსებს, მშენებლობაში შრომის ნაყოფიერების ზრდისა და სამუშაოთა თვითღირებულების შემცირების დავალებებს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით;

— გეგმების სხვა განაყოფებსა და დავალებებს და ტექნიკურ-ეკონომიკურ ნორმატივებს დადგენილი წესის მიხედვით;

ვ) განიხილავს და წარუდგენს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს საწარმოო დანიშნულების უმნიშვნელოვანეს მშენებლობათა ნუსხებსა და სატიტულო სიებს, რომლებსაც ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, განიხილავს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების მიერ შესათანხმებლად წარდგენილ 1 მილიონი მანეთი და მეტი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების საწარმოო დანიშნულების და 0,5 მილიონ მანეთზე მეტი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების არასაწარმოო დანიშნულების სხვა მშენებლობათა ნუსხებსა და სატიტულო სიებს, შეათანხმებს ახლად დასაწყები მშენებლობებისა და ობიექტების სატიტულო სიებს, რომლებიც ხორციელდება უცხოეთის ლიცენზიებით და კომპლექტური იმპორტული მოწყობილობის ბაზაზე;

ზ) კოორდინაციას გაუწევს საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის მუშაობას შრომითი რესურსების გამოყენებისათვის მუშახელის დაგეგმვის, განაწილებისა და გადანაწილების მხრივ საქართველოს სსრ დარგებს, სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასს რესპუბლიკას, აჭარის ასს რესპუბლიკას, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს, ქალაქებს, რაიონებს, საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებულ საკავშირო დაქვემდებარების საწარმო-

ებსა და ორგანიზაციებს შორის, მათი წინადადებების საფუძველზე და საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის ძონაწილეობით შეიმუშავებს შრომითი რესურსების ბალანსებს;

თ) შეიტახს სახელმწიფო გეგმების დავალებებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე დაზუსტებებს, აგრეთვე დამტკიცებულ გეგმებში გაუთვალისწინებელი ახალი ფასების დადგენილი წესით შემოღებასთან დაკავშირებით, გახილავს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების მიერ შესათანხმებლად წარდგენილ წინადადებებს მათთვის მინიჭებული უფლებების შესაბამისად სახელმწიფო გეგმების შეცვლის შესახებ;

ი) დაამტკიცებს საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად სახალხო მეურნეობის დარგებში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვის უმნიშვნელოვანეს დავალებებს;

კ) შეიმუშავებს რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით და დაამტკიცებს გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა განაწილების გეგმას საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ დასაგეგმი ნომენკლატურის მიხედვით;

ლ) შეიმუშავებს და დაამტკიცებს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებებისათვის საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით ეკონომიკური სტიმულირების ფონდების შექმნის სტაბილურ ნორმატივებს და ამ ფონდების ოდენობას შესაბამისი საგეგმო პერიოდისათვის;

მ) დაუგზავნის რესპუბლიკის მთავრობის მიერ დაწესებულ ვადებში საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების დავალებებს;

ნ) შეიმუშავებს და დაამტკიცებს საპროექტო-საძიებო სამუშაოთა გეგმებს, განიხილავს და დაამტკიცებს საპროექტო და საძიებო ორგანიზაციათა ქსელისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების გეგმებს, რომლებსაც შეიმუშავებს საქართველოს სსრ სახმშენი კაპიტალური მშენებლობის გეგმებთან, სახალხო მეურნეობის დარგებისა და მრეწველობის დარგების განვითარებისა და განლაგების სქემებთან, რესპუბლიკის ტერიტორიაზე საწარმოო ძალთა განვითარებისა და განლაგების სქემასთან დაკავშირებით;

ო) განახორციელებს ორგანიზაციულ-მეთოდიკურ ხელმძღვანელობას სტანდარტიზაციის დარგში მუშაობისადმი, სტანდარტიზაციის სახელმწიფო სისტემის მიერ მოკავშირე რესპუბლიკებისათვის დაწესებული ფუნქციების შესაბამისად; დაამტკიცებს რესპუბლიკურ სტანდარტებს, ხოლო საკავშირო დაქვემდებარების გაერთიანებებისა და საწარმოებისათვის — სახალხო მოხმარების იმ საქონლის ტექნიკურ პირობებს, რომელიც მათი ძირითადი წარმოების ნომენკლატურაში არ შედის, გასაცემს დასკვნებს რესპუბლიკის სახელით სახელმწიფო სტანდარტების პროექტების გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი შეამოწმებს, დროულად და სწორად დაუგზავნეს თუ არა საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა და აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების დავალებანი გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს; განახორციელებს კონტროლს აღნიშნული გეგმების შესრულებისადმი, მათი სტაბილურობისადმი, ძირითადი საწარმოო ფონდებისა და საწარმოო სიმძლავრეების, კაპიტალური დაბანდებების, ბუნებრივი, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების ეფექტიანი გამოყენებისადმი, ჩაატარებს გეგმების შესრულების მიმდინარეობის სისტემატურ და კომპლექსურ ანალიზს, მითითებებს მისცემს საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს ცალკეული დარგების განვითარებაში გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შესახებ; სისტემატურად მოახსენებს საქართველოს სსრ მთავრობას გეგმების შესრულების მიმდინარეობის შესახებ, შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებაში დისპროპორციების თავიდან ასაცილებლად და აღმოსაფხვრელად.

10. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი განაზოგადებს მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას, შეიმუშავებს წინადადებებს ამ კანონმდებლობის სრულყოფის შესახებ და წარუდგენს მათ განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

11. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს უფლება ენიჭება:

ა) მიიზიდოს გეგმების პროექტებისა და ცალკეული სახალხო-სამეურნეო პრობლემების შესამუშავებლად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სამეცნიერო-კვლევითი, ტექნოლოგიური და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციები, უმაღლესი სასწავლებლები და სხვა დაწესებულებანი, აგრეთვე ცალკეული მეცნიერები, სპეციალისტები და წარმოების მოწინავენი;

ბ) მოისმინოს რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებების, გაერთიანებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მოხსენებანი გეგმების შესრულების მიმდინარეობის შესახებ და მის კომპეტენციაში შემავალ სხვა საკითხებზე;

გ) მიიღოს:

— საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსაგან — სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც საჭიროა სახელმწიფო გეგმების შესამუშავებლად, მათი შესრულების შესამოწმებლად და ცალკეულ ეკონომიკურ საკითხებზე წინადადებათა მოსამზადებლად;

საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებებისაგან, აგრეთვე უშუალოდ გაერთიანებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისაგან, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, — მასალები, რომლებიც საჭიროა სახელმწიფო გეგმების შესამუშავებლად და მათი შესრულე-

ბის შესამოწმებლად, მათ შორის საუწყებო სტატისტიკის მქონე სამინისტროთა სტატისტიკური მასალები და სხვა საინფორმაციო მასალები;

დ) დაავალოს საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს შეიმუშაონ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგების განვითარებასთან და ეფექტიანობის ამაღლებასთან და მრეწველობის ურთიერთდაკავშირებული დარგების კომპლექსური განვითარების ამოცანების გადაწყვეტასთან დაკავშირებული ცალკეული პრობლემები;

ე) შექმნას საუწყებათაშორისო კომისიები და საბჭოები ცალკეული სახალხო-სამეურნეო პრობლემების შესამუშავებლად და განსახილველად, აგრეთვე მოიწვიოს დადგენილი წესით თათბირები მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე;

ვ) შეიტანოს დადგენილი წესით ცვლილებანი რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობის მიხედვით ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების მაჩვენებლებში;

ზ) დაუბრუნოს საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს დასამუშავებლად გეგმების პროექტები, რომლებიც არ შეესაბამება წაყენებულ მოთხოვნებს;

თ) მისცეს საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს მითითებანი სახელმწიფო საგეგმო დისციპლინის დარღვევათა აღმოფხვრის შესახებ, აგრეთვე არსებული რეზერვების უფრო სრულად გამოყენების შესახებ.

12. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი იქმნება შემდეგი შემადგენლობით: კომიტეტის თავმჯდომარე, რომელსაც საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, თავმჯდომარის მოადგილეები და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წევრები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წევრთა შემადგენლობაში შედიან საქართველოს სსრ სახმომარაგების, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ სახმშენის, საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეები, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი, საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისის, ქუთაისისა და ფოთის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების საგეგმო კომისიების თავმჯდომარეები, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის გამოთვლითი ცენტრის და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორები, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წამყვან განყოფილებათა უფროსები, აგრეთვე რესპუბლიკის თვალსა-

ჩინო მეცნიერები, სპეციალისტები და სამეურნეო ხელმძღვანელები.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი თავის რეგულარულად მოწვეულ სხდომებზე განიხილავს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად საკითხებს, რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების, აგრეთვე უმნიშვნელოვანესი რესპუბლიკური მიზნობრივი კომპლექსური პროგრამების პროექტებს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში იქმნება კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე (კოლეგიის თავმჯდომარე), საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები თანამდებობის მიხედვით, აგრეთვე სხვა ხელმძღვანელი მუშაკები — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წევრები. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის კოლეგიის წევრებს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის კოლეგია თავის სხდომებზე განიხილავს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაგეგმვის, სახალხო-სამეურნეო პროპორციების სრულყოფის, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, ეკონომიკის შეწონასწორებულობის უზრუნველყოფის, მართვის სხვადასხვა დონეზე დაგეგმვის მეთოდოლოგიისა და ორგანიზაციის სრულყოფის, გეგმებისა და პროგრამების მომზადების მიმდინარეობის, მიმდინარე და პერსპექტიული გეგმების შესრულებისადმი კონტროლის, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის აპარატის მუშაობის ორგანიზაციის, სტილისა და მეთოდების ძირითად საკითხებს, კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის, საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცების საკითხებს.

აღნიშნული საკითხების განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებანი ხორციელდება საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის დადგენილებებითა და ბრძანებებით. კომიტეტის თავმჯდომარესა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში თავმჯდომარე ახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს, თავის მხრივ, შეუძლიათ აცნობონ თავიანთი აზრი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და მისი კოლეგიის სხდომებში საჭირო შემთხვევებში მონაწილეობენ საქართველოს სსრ მთავრობის წევრები, აგრეთვე საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების ხელმძღვანელები, რომლებსაც ეხებათ განსახილველი საკითხები.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ, აგრეთვე დაუგზავნის ამ გადაწყვეტილებებს შესაბამის საკითხებზე დაინტერესებულ

სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს დადგენილებებსა და საინსტრუქციო მითითებებს, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად რესპუბლიკის ყველა სამინისტროს, უწყებისა და სხვა ორგანიზაციისათვის.

საჭირო შემთხვევებში საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი გამოსცემს სხვა რესპუბლიკურ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად დადგენილებებსა და საინსტრუქციო მითითებებს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე გამოსცემს ბრძანებებს და იძლევა მითითებებს, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის სისტემის ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის.

13. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს წარმოადგენენ განყოფილებები.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ძირითად განყოფილებათა უფროსებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

14. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს შეუძლია შექმნას კომისიები, საბჭოები და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წევრთა მეთაურობით მუდმივმოქმედი და დროებითი სექციები მეცნიერთა და სპეციალისტთა მონაწილეობით რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის, მისი დარგების საკვანძო პრობლემებზე მასალების განსახილველად და წინადადებათა მოსამზადებლად, აგრეთვე მიზნობრივი პროგრამების მოსამზადებლად და განსახილველად.

15. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი საჭირო შემთხვევებში ჩაატარებს უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო პრობლემების, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარებისა და განლაგების სქემების, მსხვილი კომპლექსური ობიექტების მშენებლობის მიზანშეწონილობის დამასაბუთებელი მასალების და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებზე გამოკვლევებისა და ნამუშევრების ექსპერტიზას.

16. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი ხელმძღვანელობს მასთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი და სხვა ორგანიზაციების საქმიანობას.

17. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების საგეგმო კომისიები ექვემდებარებიან აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოებს და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს.

18. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი ექვემდებარება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს.

19. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ცენტრალური აპარატის სტრუქტურასა და მუშაკთა რიცხოვნობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგს ამტკიცებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე.

20. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება.

---

31 სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიისა და სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის დებულებათა დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულებანი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიისა და სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 24 ნოემბრის № 660 დადგენილებით დამტკიცებული დებულებანი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის შესახებ და მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წლის 29 მარტი, № 189.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1983 წლის 29 მარტის № 189 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის შესახებ

1. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიას ქმნის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო, და იგი თავის საქმიანობაში ექვემდებარება სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს, მის აღმასკომსა და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს.

2. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის, როგორც ოლქის საგეგმო-ეკონომიკური ორგანოს, მთავარი ამოცანაა მოამზადოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიანი და წლიური გეგმების პროექტები და კონტროლი გაუწიოს ამ გეგმების შესრულებას.

3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის კონსტიტუციითა და საქართველოს სსრ კონსტიტუციით, სსრ კავშირის კანონებითა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებებით, საქართველოს სსრ კანონებითა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის დადგენილებებით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს და მისი აღმასკომის გადაწყვეტილებებით და სხვა ნორმატიული აქტებით დაგეგმვის საკითხებზე, აგრეთვე ამ დებულებით.

4. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისია სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების პროექტების მომზადებისას ითვალისწინებს ამომრჩეველთა კრებების მიერ მოწონებულ განაწესებს, შრომითი კოლექტივების წინადადებებს.

5. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიამ ხუთწლიანი და წლიური გეგმების პროექტებში უნდა გაითვალისწინოს:

ა) სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, როგორც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენელი ნაწილის, მეურნეობის კომპლექსური განვითარება, მთლიანად რესპუბლიკისა და ქვეყნის ეკონომიკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვითარებაში ოლქის მეურნეობის წვლილის გადიდება საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და საწარმოო სპეციალიზაციის გაღრმავების საფუძველზე;

ბ) საწარმოო ძალთა რაციონალური განლაგება;

გ) კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანი გამოყენება ოლქის არსებული შრომითი რესურსების გათვალისწინებით:

დ) პროდუქციის, განსაკუთრებით სახალხო მოხმარების საქონლის, ადგილობრივი საშენი მასალებისა და ადგილობრივი სათბობის წარმოების მოცულობის გადიდება;

ე) აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა დარგის განვითარების შეწონასწორებულობა;

ვ) სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ეფექტიანი გამოყენება, სახნავისა და სხვა ინტენსიურად გამოყენებული სავარგულების ფართობის გადიდება, მიწების მელიორაცია, სახნავის, სათიბებისა და საძოვრების პროდუქტიულობის ამაღლება;

ზ) კვების პროდუქტების წარმოების მოცულობისა და სხვა საგეგმო მაჩვენებლების შესაბამისობა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასურსათო პროგრამის დავალებებთან;

თ) ოლქის ტერიტორიაზე არსებულ საწარმოთა წარმატებული ფუნქციონირებისათვის საჭირო პირობების შექმნა;

ი) საწარმოო ფონდების, შრომითი, მატერიალური, ფინანსური და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, ბუნების დაცვის ღონისძიებანი;

კ) მოსახლეობის ბინით უზრუნველყოფისა და სოციალურ-კულტურული მომსახურების გაუმჯობესება, საწარმოო და არასაწარმოო სფეროების პროპორციული განვითარება;

ლ) საწარმოო კავშირურთიერთობის სრულყოფა ოლქის შიგნით, აგრეთვე რესპუბლიკისა და ქვეყნის სხვა რაიონებთან;

მ) საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის შესაბამისი მიზნობრივი პროგრამებიდან, მათ შორის ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსების ფორმირებისა და განვითარების პროგრამებიდან გამომდინარე ამოცანების გადაწყვეტა.

6. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიას ეკისრება:

ა) შეიმუშაოს ოლქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების პროექტები, ამასთან შეიტანოს მათში ამ ტერიტორიაზე არსებულ საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ წარდგენილი გეგმების მაჩვენებლები (თავდაცვითი პროდუქციის მაჩვენებლების გარდა) რაც საჭიროა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველყოფისათვის;

ბ) შეადგინოს ადგილობრივი საშენი მასალების წარმოების, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების კრებსითი ხუთწლიანი და წლიური გეგმების, საბინაო-კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმების პროექტები;

გ) მოამზადოს ოლქის სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმების პროექტები, აგრეთვე წინადადებანი სამხრეთ ოსეთის საოლქო აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭოს მიერ შემუშავებული კომპლექსური სასურსათო და სხვა მიზნობრივი პროგრამების გამო;

დ) განახორციელოს ორგანიზაციული და მეთოდური ხელმძღვანელობა რაიონული და საქალაქო საგეგმო კომისიების მმუშაობის ხელმძღვანელობისადმი;

ე) მოამზადოს წინადადებანი და შენიშვნები საწარმოო ძალთა განვითარებისა და განლაგების სქემების, რეგიონალური და სხვა პროგრამების გამო, რომლებიც ითვალისწინებენ საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსებისა და სამრეწველო კვანძების ფორმირებასა და განვითარებას;

ვ) მოამზადოს დასკვნები ხუთწლიანი და წლიური გეგმების პროექტების და ამ გეგმების შეცვლის თაობაზე წინადადებების გამო, რომლებსაც წარუდგენენ განსახილველად სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარების გაერთიანებები. საწარმოები და ორგანიზაციები. მიწათსარგებლობის ბუნების დაცვის, მშენებლობის, შრომითი რესურსების გამოყენების, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული საყოფაცხოვრებო და სხვა მომსახურების საკითხთა ნაწილში.

ზ) მოამზადოს დასკვნები მშენებლობათა იმ სატიტულო სიების გამო საცხოვრებელი სახლების კომუნალური მეურნეობის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და ბუნების დაცვის ობიექტების მშენებლობის ნაწილში, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, რომლებსაც წარუდგენენ შემკვეთები შესათანხმებლად სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს მშენებლობის ადგილსამყოფელის მიხედვით, იმ მიზნით, რომ აღნიშნული ობიექტების მშენებლობა, დანახარჯების მოცულობითა და საექსპლუატაციოდ გადაცემის ვადებით, უკავშირდებოდეს საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის დავალებებს;

თ) შეადგინოს სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების ადგილობრივი საშენი მასალებისა და სათბობის, სამშენებლო ორგანიზაციათა სიმძლავრეების, შრომითი რესურსების, მოსახლეობის ფულადი შემოსავალ-გასავლის ბალანსები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კომპლექსური განვითარების დაგეგმვისათვის საჭირო სხვა ბალანსები;

ი) მოამზადოს დასკვნები სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის პროექტისა და მისი შესრულების გამო;

კ) მოამზადოს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებში შესატანად წინადადებანი მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებში სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების შესახებ;

ლ) მოამზადოს დასკვნები სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების იმ წინადადებათა გამო, რომლებიც შეეხება მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებში სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ორგანიზაციას ძირითადი პროდუქციის დაწესებული ნომენკლატურის გადამეტებით;

მ) მოამზადოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებათა (დასკვნათა) პროექტები დაგეგმვის საკითხებზე, აგრეთვე შეიმუშაოს დაწესებული გეგმების შესრულების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ცალკეული საკითხები.

ნ) მოამზადოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომისათვის წინადადებანი საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში წარსადგენად მართვის ფორმებისა და მეთოდების, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის დაგეგმვის და წარმოების ეკონომიკური სტიმულირების საკითხებზე.

7. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისია ხელმძღვანელობს სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების საგეგმო კომისიების მუშაობას, რომლებიც ექვემდებარებიან როგორც შესაბამის სახალხო დეპუტატთა საბჭოს, ისევე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიას.

8. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისია:

— კონტროლს გაუწევს იმას, რომ აღმასკომის სამმართველოებმა და განყოფილებებმა სწორად და დროულად დაუგზავნონ ოლქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმის დავალებანი საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებს, ხოლო საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის დავალებით — რესპუბლიკური გეგმების დავალებანი;

— განახორციელებს კონტროლს ოლქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების დავალებათა, აგრეთვე ადგილობრივი საშენი მასალების წარმოების, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების კრებსითი გეგმების, საბინაო-კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმების შესრულებისადმი.

9. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიას უფლება ენიჭება:

ა) მიიზიდოს გეგმების პროექტებისა და ცალკეული სამეურნეო პრობლემების შესამუშავებლად სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე არსებული სამეცნიერო-კვლევითი, ტექნოლოგიური და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციები, უმაღლესი სასწავლებლები და სხვა დაწე-

სებულებები, აგრეთვე ცალკეული მეცნიერები, სპეციალისტები და წარმოების მოწინავენი;

ბ) მიიღოს:

— სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის განყოფილებებისა და სამმართველოებისაგან და ქვემდგომი საბჭოების აღმასკომებისაგან ხუთწლიანი და წლიური გეგმების პროექტები, გეგმების პროექტების შემუშავებისათვის, აგრეთვე ცალკეულ სამეურნეო საკითხებზე წინადადებათა მომზადებისათვის საჭირო მასალები, გაანგარიშებანი და დასაბუთებანი;

— სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულებისაგან, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, დადგენილი წესით ოლქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიანი და წლიური გეგმების პროექტების შედგენისათვის საჭირო საგეგმო და გაანგარიშებული მაჩვენებლები და სხვა მასალები;

— სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, ადგილობრივი საშენი მასალების წარმოების, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების კრებსითი ხუთწლიანი და წლიური გეგმების, საბინაო-კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმების პროექტების შემუშავებისათვის საჭირო მასალები, გაანგარიშებანი და მაჩვენებლები;

— საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოსაგან დადგენილი წესით გეგმების პროექტების შემუშავებისათვის გეგმების შესრულებისადმი კონტროლის განხორციელებისათვის, ცალკეულ ეკონომიკურ საკითხებზე წინადადებათა მომზადებისათვის საჭირო ყველა სტატისტიკური მასალა;

გ) მოისმინოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის განყოფილებებისა და სამმართველოების, მისი საქვეუწყებო საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა მოხსენებანი საგეგმო კომისიის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე.

10. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიას სათავეში უდგას თავმჯდომარე, რომელიც თანამდებობის მიხედვით ამავე დროს არის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს, რაც შემდგომ მტკიცდება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მორიგ სესიაზე.

11. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისია იქმნება კომისიის თავმჯდომარისა და წევრების შემადგენლობით, რომლებსაც ნიშნავს აღმასკომი თავმჯდომარის წარდგენით

ოლქის წამყვანი დარგების, საწარმოებისა და დაწესებულებების სპეციალისტთა და საგეგმო მუშაკთა რიცხვიდან. საგეგმო კომისიის წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისია თავის სხდომებზე განიხილავს გეგმების პროექტებს, ამ გეგმების შესრულების მიმდინარეობას, აგრეთვე ოლქის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების სხვა უმნიშვნელოვანეს პრობლემებს.

12. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის აპარატის სტრუქტურასა და შტატებს ამტკიცებს აღმასკომი დადგენილი წესით.

13. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიას აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1983 წლის 29 მარტის № 189 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის შესახებ

1. სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიას ქმნის სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭო, და იგი თავის საქმიანობაში ექვემდებარება სახალხო დეპუტატთა რაიონულ (საქალაქო) საბჭოს, მის აღმასკომსა და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, ქ. თბილისსა და ქუთაისში — აღნიშნული ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების საგეგმო კომისიებს.

2. სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის, როგორც რაიონის (ქალაქის) საგეგმო-ეკონომიკური ორგანოს, მთავარი ამოცანაა მოამზადოს რაიონის (ქალაქის) ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიანი და წლიური გეგმების პროექტები და კონტროლი გაუწიოს ამ გეგმების შესრულებას.

3. სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის კონსტიტუციითა და საქართველოს სსრ კონსტიტუციით, სსრ კავშირის კანონებითა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებებით, საქართველოს სსრ კანონებითა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბ-

ჭოს და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის დადგენილებებით, სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს და მისი აღმასკომის გადაწყვეტილებებით და სხვა ნორმატიული აქტებით დაგეგმვის საკითხებზე, აგრეთვე ამ დებულებით.

4. სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისია შესაბამის ტერიტორიაზე ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების პროექტების მომზადებისას ითვალისწინებს ამომრჩეველთა კრებების მიერ მოწონებულ განაწესებს, შრომითი კოლექტივების წინადადებებს.

5. სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიამ ხუთწლიანი და წლიური გეგმების პროექტებში უნდა გაითვალისწინოს:

ა) რაიონის (ქალაქის), როგორც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენელი ნაწილის, მეურნეობის კომპლექსური განვითარება, მთლიანად რესპუბლიკისა და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში რაიონის (ქალაქის) მეურნეობის წვლილის გადიდება საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და საწარმოო სპეციალიზაციის გაღრმავების საფუძველზე;

ბ) კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანი გამოყენება რაიონის (ქალაქის) არსებული შრომითი რესურსების გათვალისწინებით;

გ) პროდუქციის, განსაკუთრებით სახალხო მოხმარების საქონლის, ადგილობრივი საშენი მასალებისა და ადგილობრივი სათბობის წარმოების მოცულობის გადიდება;

დ) აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა დარგის განვითარების შეწონასწორებულობა;

ე) სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ეფექტიანი გამოყენება, სახნავისა და სხვა ინტენსიურად გამოყენებული სავარგულების ფართობის გადიდება, მიწების მელიორაცია, სახნავის, სათიბებისა და საძოვრების პროდუქტიულობის ამაღლება;

ვ) კვების პროდუქტების წარმოების მოცულობისა და სხვა საგეგმო მაჩვენებლების შესაბამისობა რაიონის (ქალაქის) სასურსათო პროგრამის დავალებებთან;

ზ) რაიონის (ქალაქის) ტერიტორიაზე არსებულ საწარმოთა წარმატებული ფუნქციონირებისათვის საჭირო პირობების შექმნა;

თ) საწარმოო ფონდების, შრომითი, მატერიალური, ფინანსური და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, ბუნების დაცვის ღონისძიებანი;

ი) მოსახლეობის ბინით უზრუნველყოფისა და სოციალურ-კულტურული მომსახურების გაუმჯობესება, საწარმოო და არასაწარმოო სფეროების პროპორციული განვითარება;

კ) საწარმოო კავშირურთიერთობის სრულყოფა რაიონის (ქალაქის) შიგნით, აგრეთვე რესპუბლიკისა და ქვეყნის სხვა რაიონებთან;

ლ) საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის შესაბამისი მიზნობრივი პროგრამებიდან, მათ შორის ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსების ფორმირებისა და განვითარების პროგრამებიდან გამომდინარე ამოცანების გადაწყვეტა.

6. სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიას ეკისრება:

ა) შეიმუშაოს რაიონის (ქალაქის) ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიანი და წლიური გეგმების პროექტები, ამასთან შეიტანოს მათში ამ ტერიტორიაზე არსებულ საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ წარდგენილი გეგმების მაჩვენებლები (თავდაცვითი პროდუქციის მაჩვენებლების გარდა), რაც საჭიროა რაიონის (ქალაქის) კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველყოფისათვის;

ბ) შეადგინოს ადგილობრივი საშენი მასალების წარმოების, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების კრებსითი ხუთწლიანი და წლიური გეგმების, საბინაო-კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმების პროექტები;

გ) მოამზადოს რაიონის (ქალაქის) სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმების პროექტები, აგრეთვე წინადადებანი რაიონის (ქალაქის) აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭოს მიერ შემუშავებული კომპლექსური სასურსათო და სხვა მიზნობრივი პროგრამების გამო;

დ) მოამზადოს წინადადებანი და შენიშვნები საწარმოო ძალთა განვითარებისა და განლაგების სქემების, რეგიონალური და სხვა პროგრამების გამო, რომლებიც ითვალისწინებენ საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსებისა და სამრეწველო კვანძების ფორმირებასა და განვითარებას;

ე) მოამზადოს დასკვნები ხუთწლიანი და წლიური გეგმების პროექტების და ამ გეგმების შეცვლის თაობაზე წინადადებების გამო, რომლებსაც წარუდგენენ განსახილველად სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომს საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარების გაერთიანებები, საწარმოები და ორგანიზაციები, მიწათსარგებლობის, ბუნების დაცვის, მშენებლობის, შრომითი რესურსების გამოყენების, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული, საყოფაცხოვრებო და სხვა მომსახურების საკითხთა ნაწილში;

ვ) მოამზადოს დასკვნები მშენებლობათა იმ სატიტულო სიების გამო საცხოვრებელი სახლების, კომუნალური მეურნეობის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და ბუნების დაცვის ობიექტების მშენებლობის

ნაწილში, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, რომლებსაც წარუდგენენ შემკვეთები შესათანხმებლად სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომს მშენებლობის ადგილსამყოფელის მიხედვით, იმ მიზნით, რომ აღნიშნული ობიექტების მშენებლობა, დანახარჯების მოცულობითა და საექსპლუატაციოდ გადაცემის ვადებით, უკავშირდებოდეს საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის დავალებებს;

ზ) შეადგინოს სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების, ადგილობრივი საშენი მასალებისა და სათბობის, სამშენებლო ორგანიზაციათა სიმძლავრეების, შრომითი რესურსების, მოსახლეობის ფულადი შემოსავალ-გასავლის ბალანსები და რაიონის (ქალაქის) კომპლექსური განვითარების დაგეგმვისათვის საჭირო სხვა ბალანსები;

თ) მოამზადოს დასკვნები რაიონის (ქალაქის) ბიუჯეტის პროექტისა და მისი შესრულების გამო;

ი) მოამზადოს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებში შესატანად წინადადებანი მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებში სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების შესახებ;

კ) მოამზადოს დასკვნები სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების იმ წინადადებათა გამო, რომლებიც შეეხება მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებში სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ორგანიზაციას ძირითადი პროდუქციის დაწესებული ნომენკლატურის გადამეტებით;

ლ) მოამზადოს სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებათა (დასკვნათა) პროექტები დაგეგმვის საკითხებზე, აგრეთვე შეიმუშაოს დაწესებული გეგმების შესრულების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ცალკეული საკითხები;

მ) მოამზადოს სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომისათვის წინადადებანი საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში წარსადგენად მართვის ფორმებისა და მეთოდების, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის დაგეგმვის და წარმოების ეკონომიკური სტიმულირების საკითხებზე.

7. სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისია:

— კონტროლს გაუწევს იმას, რომ აღმასკომის სამმართველოებმა და განყოფილებებმა სწორად და დროულად დაუგზავნონ რაიონის (ქალაქის) ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმის დავალებანი საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებს, ხოლო საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის დავალებით — რესპუბლიკური გეგმების დავალებანი;

— განახორციელებს კონტროლს რაიონის (ქალაქის) ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების დავალებათა, აგრეთვე ადგილობრივი საშენი მასალების წარმოების, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების

კრებსითი გეგმების, საბინაო-კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმების შესრულებისადმი.

8. სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიას უფლება ეძლევა:

ა) მიიზიდოს გეგმების პროექტებისა და ცალკეული სამეურნეო პრობლემების შესამუშავებლად შესაბამის ტერიტორიაზე არსებული სამეცნიერო-კვლევითი, ტექნოლოგიური და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციები, უმაღლესი სასწავლებლები და სხვა დაწესებულებები, აგრეთვე ცალკეული მეცნიერები, სპეციალისტები და წარმოების მოწინავენი;

ბ) მიიღოს:

— სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის განყოფილებებისა და სამმართველოებისაგან და შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულებისაგან, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, დადგენილი წესით რაიონის (ქალაქის) ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიანი და წლიური გეგმების პროექტების შედგენისათვის, აგრეთვე ცალკეულ სამეურნეო საკითხებზე წინადადებათა მომზადებისათვის საჭირო საგეგმო და გაანგარიშებული მაჩვენებლები და სხვა მასალები;

—რაიონის (ქალაქის) ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, ადგილობრივი საშენი მასალების წარმოების, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების კრებსითი ხუთწლიანი და წლიური გეგმების, საბინაო-კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმების პროექტების შემუშავებისათვის საჭირო მასალები, გაანგარიშებანი და მაჩვენებლები;

— საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოსაგან დადგენილი წესით გეგმების პროექტების შემუშავებისათვის, გეგმების შესრულებისადმი კონტროლის განხორციელებისათვის, ცალკეულ ეკონომიკურ საკითხებზე წინადადებათა მომზადებისათვის საჭირო ყველა სტატისტიკური მასალა;

გ) მოისმინოს სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის განყოფილებებისა და სამმართველოების, მისი საქვეუწყებო საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა მოხსენებანი საგეგმო კომისიის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე.

9. სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიას სათავეში უდგას თავმჯდომარე, რომელიც თანამდებობის მიხედვით ამავე დროს არის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე.

სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომი ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს, რაც შემდგომ მტკიცდება სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს მორიგ სესიაზე.

10. სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისია იქმნება კომისიის თავმჯდომარისა და წევრების შემადგენლობით, რომლებსაც ნიშნავს აღმასკომი თავმჯდომარის წარდგენით რაიონის (ქალაქის) წამყვანი დარგების, საწარმოებისა და დაწესებულებების სპეციალისტთა და საგეგმო მუშაკთა რიცხვიდან. საგეგმო კომისიის წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომი.

სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისია თავის სხდომებზე გახილავს გეგმების პროექტებს, ამ გეგმების შესრულების მიმდინარეობას, აგრეთვე რაიონის (ქალაქის) ეკონომიკისა და კულტურის განვითარების სხვა უმნიშვნელოვანეს პრობლემებს.

11. სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის აპარატის სტრუქტურასა და შტატებს ამტკიცებს აღმასკომი დადგენილი წესით.

---

32 საქართველოს სს რესპუბლიკაში ზოგიერთი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის ფორმირების დროს კანონმდებლობის დარღვევათა აღმოფხვრისა და საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლების ასაშენებლად გაცემული ბანკის კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ

რესპუბლიკაში ზოგიერთი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის ფორმირების დროს კანონმდებლობის დარღვევათა აღმოფხვრის, აგრეთვე სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მიმართ წარმოქმნილი ვადაგადაცილებული დავალიანების დაფარვის დაჩქარებისა და საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლების ასაშენებლად გაცემული ბანკის კრედიტის დროულად დაფარვის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებსა და საბინაო-სამშენებლო კოოპერატივთა გამგეობებს შეა მოწმონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 28 სექტემბრის № 529 დადგენილების მიღებამდე ფორმირებული საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების ორგანიზაციის დროს საცხოვრებელი ფართობის (ბინების) განაწილების წესის დაცვა და იმ შემთხვევაში, როცა დაადგენენ ფაქტებს, რომ აღებული სახლებიდან გადასახლებულ მოქალაქეებს მიეცათ საცხოვრებელი ფართობი (ბინები):

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 2 ივლისის № 436 და 1965 წლის 16 მარტის № 159 დადგენილებებით დაწესებული ნორმების გადამეტებით — მოსთხოვონ მათ შეიტანონ ნორმებით კუთვნი ლდა ფაქტიურად მიცემულ საცხოვრებელ ფართობს შორის ღირებულების სხვაობა. უარის

შემთხვევაში აღძრან სარჩელი იმის შესახებ, რომ ამ მოქალაქეებს გადახდეთ აღნიშნული სხვაობა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სასარგებლოდ;

— დადგენილი წესის დარღვევით — მისცენ ამ მოქალაქეებს შესაძლებლობა შეიტანონ კოოპერატივში შესაბამისი პაი ან გამოუყონ მათ ბინები კომუნალურ სახლში, ხოლო განთავისუფლებული ბინები გაანაწილონ საბინაო კანონმდებლობის შესაბამისად. უარის შემთხვევაში აღძრან სარჩელი იმის შესახებ, რომ ამ მოქალაქეებს გადახდეთ მათთვის მიცემული საცხოვრებელი ფართობის სრული ღირებულება საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სასარგებლოდ.

2. კოოპერაციული სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით აღებული სახლებიდან გადასახლებული მოქალაქენი იხდიან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის იმ სახლის ექსპლუატაციასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, კაპიტალური რემონტისათვის საამორტიზაციო ანარიცხების ღირებულების ჩათვლით.

3. მიეცეთ კოოპერაციული სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით აღებული სახლებიდან გადასახლებულ მოქალაქეებს ვაა 15 წლამდე საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წინაშე წარმოქმნილი დავალიანების დასაფარავად ამ დებულების 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად.

4. მოედანგარე და მაგისტრალური საინჟინრო კომუნიკაციებისა და მოედანგარე კეთილმოწყობის ელემენტების მშენებლობისას საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების მიერ გაწეული დანახარჯების ანაზღაურება დაეკისროთ სახალხო დეპუტატთა საბჭოების შესაბამის აღმასკომებს კაპიტალური მშენებლობისათვის გამოყოფილი, მაგრამ აუთვისებელი სახსრების და ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრების ანგარიში.

5. დაევალოთ სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს საქართველოს სსრ სახმშენთან, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობების სამინისტროსთან და საბინაო-სამშენებლო კოოპერატივთა გამგეობებთან ერთად გულდასმით შეისწავლონ საქალაქთმშენებლო და სანოტარიული ნორმების დაცვა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივთა სახლების მშენებლობასთან დაკავშირებით საბინაო-სამშენებლო კოოპერატივთა ტერიტორიის ახლომდებარე სახლების აღების დროს და ამ სახლების აღების ანაზღაურების საკითხი გადაწყვიტონ დადგენილი წესით.

6. დაევალოთ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს სისტემატურად გა ნიხილონ თავიანთ სხდომებზე საბინაო-სამშენებლო კოოპერატივთა ვადაგადაცილებული დავალიანების და ამთი წევრების — ურთი გადამხდელების საკითხი და მიიღოს მათ მიმართ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 25 ივნისის № 447 .დადგენილებით გათვალისწინებული ზომები.

7. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომთან და სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორასთან ერთად საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან, აქართველო სსრ პროკურატურას-

№ 7 ეროვნული ბიბლიოთეკა

თან და საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან შეთანხმებით ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს ინსტრუქცია ამ დადგენილების გამოყენების წესის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წლის 25 აპრილი, № 263.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი—76187

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 2, 1983 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/VIII-83 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16,
საბეჭდი თაბახი 4,5, სააღრიცხვო თაბახი 4,5

შეკვეთა № 882 უე 08275 ტირაჟი 1630

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს სტამბა.